# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაჩაღება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 1-3 ივლისი. 2022 წ. №81-82 (9419-9420) ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი


სანდრო თვალჭრელიძე:



## ყველაზე საშინელი რამ კაპიტულაცია იყო, არ შეიძლება ძალაუფლებაში რევანშისტული ხროვის დატოვება!



იხ. 3 გვ.

## შარლ მიშელის შეთანხმებიდან გამოსვლა იდიოტობა გახლდათ!

## პოლიტიკური „სათაგური“



იხ. 2 გვ.

ვაჟა ბერიძე:



## რას ნიშნავს ეროვნული, ტექნიკური მთავრობა, რომელსაც არასამთავრობოები გვთავაზობენ?!

4

## შევაჩეროთ სამოქალაქო სექტორის მიერ სახელმწიფოსა და ძალაუფლების მიტაცების მცდელობა!

ქართული კლუბი

6




კელი დეგნანი:



## აშშ არ ცდილობს საქართველოს ომში ჩათრევას!

**მინდა, მკაფიოდ განვაცხადო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ ცდილობს საქართველოს ჩათრევას უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე რუსეთის ომში, აშშ-ს არ სურს, იხილოს ამ ომის გაფართოება არანაირი ფორმით,** — ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა.

**„როდესაც ვსაუბრობთ თავდაცვაზე, მინდა, გამოვეხმაურო მზაკვრულ ნარატივს, რომელიც როგორც ჩანს, გრძელდება და როგორც ჩანს, პირდაპირ რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის დეზინფორმაციის სახელმძღვანელოდანაა. მინდა, მკაფიოდ განვაცხადო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ ცდილობს საქართველოს ჩათრევას უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე რუსეთის ომში. აშშ-ს არ სურს, იხილოს ამ ომის გაფართოება არანაირი ფორმით“,** — განაცხადა კელი დეგნანმა.

აშშ აკეთებს ყველაფერს, რათა ეს ომი რაც შეიძლება სწრაფად შეაჩეროს.

**„ეს იყო პუტინი, რომელმაც წამოიწყო ეს აგრესიული და ძალადობრივი ომი უკრაინის წინააღმდეგ და სწორედ პუტინს შეუძლია მისი შეჩერება. აშშ, ევროპა, საქართველოს მეგობრები, რომლებმაც უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში გავაკეთეთ ყველაფერი, რათა დავხმარებოდით საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, ამის გაკეთებას გავაგრძელებთ. ძალიან მნიშვნელოვანია, ქართველებს ახსოვდეთ, რომ რუსეთი ახდენს საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაციას. რუსეთია ის, ვინც სცადა თქვენი ენის განადგურება, რუსეთია, ვინც შეურაცხყო თქვენი ეკლესიები და გამოიყენა ისინი ცხოველების სადგომებად. თუ არსებობს რაიმე კითხვები, თუ რას ნიშნავს რუსეთის მეგობრობა საქართველოსთვის, მაშინ უბრალოდ უნდა შეხედოთ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლს და ნახავთ. თქვენი მეგობრები აშშ-სა და ევროპაში არიან. ეს არის გზა საქართველოს მშვიდობის, თავისუფლებისა და კეთილდღეობისთვის“,** — აღნიშნა კელი დეგნანმა.

## ქართული ღირსებით გამორჩეული მამულიშვილი

### ნამდვილი მოღვაწე



90

იხ. 5 გვ.

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება დიდი პატივისცემით ულოცავს ღვაწლმოსილ ინჟინერს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს საავტომობილო გზების ყოფილ მინისტრს, ბატონ ბორის სარალიძეს დაბადებიდან 90 წლის იუბილეს და უსურვებს მას ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

აკადემიკოსი

თამაზ შილაკაძე

# პოლიტიკური „სათაგური“

**გასული დღეების განმავლობაში, პარტიის ლიდერებთან და საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან გვქონდა სერიოზული დისკუსია მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. მოვლენების შესახებ ჩვენი და გუნდის სხვა ლიდერებისა და წევრების შეფასებები სრულად ემთხვევა ერთმანეთს. თუმცა, ვერ ვთანხმდებით მხოლოდ ერთზე – რა დოზით უნდა ვუთხრათ სიმართლე საზოგადოებას.**

რა თქმა უნდა, დიდწილად გვესმის კოლეგების, რომლებიც ამბობენ, რომ პოლიტიკური პროცესების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისას თავშეკავებაა საჭირო. თუმცა, დღეს დადგა მომენტი, როდესაც საზოგადოებას უნდა მივაწოდოთ ბევრად მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება ქართული პოლიტიკის კულისებში. აქ სასწორზე დგას არა ხელისუფლების ან რომელიმე კონკრეტული ჩვენგანის, არამედ სახელმწიფოს და ხალხის ბედი. შესაბამისად, დროა, საკუთარი თავის და ქვეყნის დაცვა უშუალოდ ხალხს მივანდოთ.

არიან დიდი ძალები, რომლებსაც საქართველოში სურთ რევოლუცია, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების შეცვლა და მისი ჩანაცვლება ადამიანებით, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებელი 2004-12 წლებში ჩადენილ უამრავ დანაშაულზე.

ამისათვის შედგა ნაციონალური მოძრაობისა და მისი მედია და ენჯეოსატელიტების შეკრება ბაკურიანში, სადაც ამერიკიდან საგანგებოდ ჩამოიყვანეს რევოლუციების ცნობილი სპეციალისტი პიტერ აკერმანი.

ამისთვის შემოიტანეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის თემაც. ცხადია, უკრაინისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა დღეს სრულიად არარელევანტურია. რუსული სამხედრო აგრესიის გამო, ქვეყანა ცეცხლის ალშია გახვეული, ქვეყანა ნადგურდება, ყოველდღიურად ასეულობით ადამიანი იღუპება და ასეთ დროს, კანდიდატის სტატუსი ამ ქვეყნისთვის, ბუნებრივია, მცირე ნუგეშადაც კი არ გამოდგება. იგივე ეხება მოლდოვას, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება კონფლიქტის ზონას, ასეულობით ათას უკრაინელ ლტოლვილს იფარებს და უმძიმეს ეკონომიკურ პრობლემებს განიცდის. ერთადერთი, რისთვისაც კანდიდატის თემა დასჭირდათ, საქართველოს ხელისუფლებისთვის პოლიტიკური ფონის დამძიმება და რევოლუციური მუხტის ხელოვნურად შექმნა იყო.

კანდიდატის თემა იყო ერთგვარი „სათაგური“, რომელშიც საქართველოს ხელისუფლებას თავი შეაყოფინეს. ამ საქმეში თავდაპირველად სალომე ზურაბიშვილი ჩართეს, რომელიც ბრიუსელიდან ამ თემით დასაჩუქრებული გამოუშვეს. პირველადი გათვლით, საქართველოს მიერ განაცხადის შეტანის შესახებ განცხადება პარლამენტში სწორედ ზურაბიშვილს უნდა გაეკეთებინა. ამის გამო, მან კონსტიტუციის დარღვევით პარლამენტის სხდომის დაანონსებაც კი იკადრა. თუმცა, გუნდმა სწორად იმოქმედა და ეს სცენარი ჩაშალა. ამის შემდეგ, ნაციონალური მოძრაობა და მისი სატელიტები აამუშავეს და განაცხადის შესახებ კამპანია მათ ააწევინეს, რის შემდეგაც ხელისუფლებამ განაცხადის შეტანის შესახებ გადაწყვეტილება აბსოლუტურად რაციონალურად მიიღო.

ბაკურიანის შეკრების მონაწილეებმა წინასწარ იცოდნენ და საქმეში ჩახედული კაცისთვისაც არ უნდა ყოფილიყო რთული გამოსაცნობი, რომ კანდიდატის სტატუსს მისცემდნენ უკრაინასა და მოლდოვას, საქართველოს კი სტატუსის გარეშე დატოვებდნენ და ეს მოლოდინი სრულად გამართლდა.

ევროკავშირის გადაწყვეტილების შემდეგ, მოვლენებიც ზუსტად ისე წარიმართა, როგორც ამას წინასწარ პროგნოზირებდნენ გუნდის წევრები. ბაკურიანის შეკრების მონაწილეები მყისიერად გამოვიდნენ და მთავრობის გადადგომა მოითხოვეს.

**ნაცმოძრაობის რევკომს ორი ტერმინი აკერია პირზე: დეოლიგარქიზაცია და დეპოლარიზაცია. შეგახსენებთ, რომ ეს ორი ტერმინი ჯერ ევროპარლამენტის რეზოლუციაში ჩაიწერა, ხოლო მოგვიანებით ევროპული კომისიის დასკვნაშიც გადაიტანეს.**

**ეს ტერმინები მათ მიერ მარტივად ითარგმნება: დეოლიგარქიზაცია ნიშნავს ბიძინა ივანიშვილის საქართველოდან წასვლას, ხოლო დეპოლარიზაცია – სააკაშვილისა და გვარამიას ციხიდან გამოშვებას.**



**დიმიტრი ხუნდაძე, სოზარ სუბარი და მიხეილ ყაველაშვილი**

## ქართველ ხალხს, სრულიად საქართველოს ერთობლივი განცხადებით მიმართავენ

რევოლუციისთვის ორი ალტერნატიული სცენარი იყო შემუშავებული: ერთი მოკლევადიანი და მეორე შედარებით გრძელვადიანი.

მოკლევადიანი სცენარი ევროპარლამენტის რეზოლუციაზე იყო გათვლილი. ცნობილი რეზოლუციით და ევროპარლამენტარების განცხადებებით საქართველოს ხელისუფლებას უმძიმესი შეურაცხყოფა მიაყენეს და ხალხში ემოციური ფონის შექმნას ამით შეეცადნენ. თუმცა, მოკლევადიანი სცენარი ჩავარდა და პირველ ცდაზე რევოლუცია არ შედგა.

მეორე სცენარი კანდიდატის სტატუსის შესახებ ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე არის გათვლილი. კანდიდატობაზე უარის თქმით, შექმნეს გარკვეული ემოციური ფონი, რასაც, მათი გათვლით, უნდა მოყვეს იმ ე.წ. რეფორმების თავს მოხვევა, რომელთა ერთადერთი მიზანი ხელისუფლების ცვლილება და ქართული სასამართლოს მისაკუთრებაა.

**ერთ-ერთ ევროპარლამენტარს, მიხაელ გალერს ათქმევინეს კიდეც, პარტიები ახალი პოლიტიკური შეთანხმებისთვის უნდა მოემზადონო. ანუ კიდევ ერთხელ უნდა გაგვიყვანონ კონსტიტუციური ჩარჩოდან და ხელი მოგვაწერინონ პოლიტიკურ შეთანხმებაზე, რომლის საფუძველზეც ორი დამნაშავე ციხიდან უნდა გამოვიდეს და ბიძინა ივანიშვილი ქვეყნიდან უნდა წავიდეს. ამით უნდათ კონსტიტუციური წესრიგი მოგვიშალონ და სახელმწიფოებრიობა დაგვაკარგვინონ, რისი დაშვებაც არაფრის ფასად არ შეიძლება. დაუშვებელია იმ ადამიანებთან ერთად მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა, რომლებიც სახელმწიფოს, ხელისუფლებას, არცერთ სახელმწიფო ინსტიტუტს არ ცნობენ.**

იმავე გალერს ისიც ათქმევინეს, ივანიშვილი თუ პატრიოტია, ქვეყნიდან უნდა წავიდესო. გალერის ამ ფრაზიდან ნათლად იკითხება მათი სულისკვეთება და მთავარი მიზანი: პატრიოტები, ადამიანები, რომლებსაც საქართველო უყვართ, ქვეყანას უნდა მოშორდნენ და ქვეყნის სადავეები არაპატრიოტებს, უსამშობლო და ულმერთო ხალხს უნდა დარჩეს.

უსამშობლო და ულმერთო ადამიანები კი იმიტომ უნდათ, რომ ისინი ნებისმიერ დავალებაზე მოაწერენ ხელს. რაც მთავარია, თვალდახუჭული დაიწყებენ ომს, რაც მთელი ამ სცენარის მთავარი მიზანია. სწორედ ამის გამო იყვნენ ზელენსკი და არახამია რევოლუციური მიტინგის პერსონაჟები, რაც, ასევე, აკერმანის სცენარის ნაწილი იყო.

ფაქტია, რომ საქართველო მხოლოდ საომრად სჭირდებათ და ქართველ ხალხს საზარბაზნე ხორცად განიხილავენ. კარგად ესმით, რომ არც ირაკლი ღარიბაშვილი გაიმეტებს ქვეყანას და ხალხს საბედისწერო ომისთვის და არც ბიძინა ივანიშვილი მოსთხოვს მას ამის გაკეთებას. სწორედ ამიტომ, ხელისუფლებაში სჭირდებათ ადამიანები, რომლებიც ქვეყანას განადგურებისთვის უპრობლემოდ გაიმეტებენ. სწორედ ასეთები არიან ნაციონალური მოძრაობისა და მასთან დაკავშირებული ენჯეოების ლიდერები თუ სატელევიზიო სახეები.

ვხედავთ, რომ კანდიდატის არაფრისმომცემი სტატუსის მინიჭებისთანავე, მოლდოვამ რუსეთისთვის სანქციების დაწესების შესახებ გააკეთა განცხადება. როგორც ჩანს, მოლდოვას ეს პირობა წინასწარ დაუყენეს და ქვეყანა, პრაქტიკულად, არაფრის სანაცვლოდ, სულ მცირე, უმძიმესი ეკონომიკური პრობლემებისთვის გაწირეს.

**როდესაც 300 ევროპარლამენტარი აბსურდულ რეზოლუციას აწერს ხელს, საერთო სურათი და მიზანი დღესავით ნათელია. საქართველოს კანდიდატის სტატუსს არც 6 თვის თავზე არავინ მიანიჭებს, თუ მანამდე ომში არ ჩაერთო ან რუსეთს სანქციები არ დაუწესა, რაც ასევე ომისკენ მიმავალი პირდაპირი გზაა. სრულიად უპრეცედენტო 6-თვიანი ვადაც იმისათვის არის მოგონილი, რომ ქვეყანაში საზოგადოების ნაწილის მღელვარება არ განელდეს. უკრაინა და მოლდოვა, როგორც ვიოლა ფონ კრამონი და ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ამბობენ, 30-წლიან მოსაცდელში თუ შეუშვეს, ჩვენ არც ამ მოსაცდელში შეგვიშვებენ, რათა გრძელვადიან რევოლუციურ სცენარს აქტუალობა შეუნარჩუნონ.**

* * *

მიგვაჩნია, რომ ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი. ამისათვის, საზოგადოებას თანდათანობით მივაწვდით ინფორმაციას იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც ქართული პოლიტიკის კულისებში ვითარდება. რა თქმა უნდა, გარკვეულ დონზე რაღაცებს ჩვენც გავუფრთხილდებით და ამ ინფორმაციას დოზირებულად გავასაჯაროებთ.

ჩვენი მთავარი მიზანი იმ სცენარის პრევენციაა, რომელმაც საქართველო არეულობამდე, ომამდე და რუსულ სამხედრო ოკუპაციამდე უნდა მიიყვანოს. საქართველო ახალ არეულობასა და ომს ვერ გადაიტანს. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ მაღალი პასუხისმგებლობით, რომელიც ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე გვაკისრია.

გარდა ამისა, ჩვენი მთავარი მიზანი იმ გეგმის აღსრულების პრევენციაა, რომელიც საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე ხელოვნური დაბრკოლებების შექმნას ისახავს მიზნად. თუ საზოგადოება არ აღიჭურვება საჭირო სიმართლით, ის თავად გახდება არეულობისა და ომის სცენარის ნაწილი, რაც ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციას სამუდამოდ შეუძლებელს გახდის. ჩვენ უნდა აღვჭურვოთ საზოგადოება სიმართლით, რათა ის თავად გახდეს საქართველოს ევროპული მომავლის გარანტი.

გვესმის, რომ ჩვენი მხრიდან გარკვეულ თემებზე საჯაროდ საუბარი მმართველ გუნდს უხერხულობას შეუქმნის. ამიტომ, გვიწევს პარტიის, ფრაქციისა და საპარლამენტო თანამდებობების დატოვება და დამოუკიდებლად მოქმედება. თუმცა, ვრჩებით „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებად და გუნდს ყველანაირად დავეხმარებით ყველა საქმეში, რომელიც ქვეყნის და ხალხის სასიკეთოდ არის გასაკეთებელი...

* * *

სოზარ სუბარმა, მიხეილ ყაველაშვილმა და დიმიტრი ხუნდაძემ ფრაქცია „ქართულ ოცნება“, პარტია და საპარლამენტო თანამდებობები დატოვეს.

## მიხეილ ყაველაშვილი ქვეყნის მტრებს უტევს!

**ვინ არის ეკა გიგაური, რა ლეგიტიმაციით მესაუბრება საქართველოს მოქალაქეს, არა როგორც პოლიტიკოსს, ჩვეულებრივ მოქალაქეს, ან მაქარაშვილი ვინ არის? ვინ მისცა ლეგიტიმაცია, რომ გამოდიან ეს ადამიანები და ქართველი ხალხის სახელით გვესაუბრებიან, რომ ქართველ ხალხს უნდა მოიშოროს ხელისუფლება, ქართველ ხალხს უნდა, რომ შექმნას ტექნიკური მთავრობა, ქართველ ხალხს უნდა 12 პუნქტზე იმუშაოს, თავისი ჯგუფი შექმნას, ვინ ხარ, რა უფლებით მელაპარაკები? რას წარმოადგენ? ვინ მოგცა, სად წერია შენი ლეგიტიმაცია, რომ შენ შეგიძლია ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკი?** – ამის შესახებ პარლამენტარმა მიხეილ ყაველაშვილმა გადაცემაში „უცნობის კიდობანი“ განაცხადა.

**„მე მაქვს ამის უფლება, რომ ვილაპარაკო, უმრავლესობით მოსული დეპუტატი ვიყავი, არჩეული ვარ, ხალხის ლეგიტიმაცია მაქვს და მეც კი ვერიდები უმრავლესობის სახელით ლაპარაკს, იმიტომ რომ განსხვავებულია მაინც, მრავალფეროვანია და ყველას სახელით შეიძლება ვერ ილაპარაკო, მაგრამ მე უფლება მაქვს, ვალდებულებაც მაქვს, რომ ამაზე ვისაუბრო, გითხრა, შენ პრობლემაზე მიმითითო, შეიძლება უშუალოდ არ ვიყო ამ პრობლემის ნაწილი, მაგრამ ვალდებული ვარ პასუხი გაგცე, ხელისუფლების სახელით, „ქართული ოცნების“ სახელით, მაგრამ შენ ვინ ხარ? როგორ ბედავ? საერთოდ რას წარმოადგენ ეკა გიგაური რომ ხარ? ვინ ხარ? წარმოიდგინე, კრავენ ამას, გამოდის ხალხის წინაშე პირდაპირი ასე და მართავს ამ პროცესს“,** – განაცხადა მიხეილ ყაველაშვილმა.

## დიდი ბრიტანეთი 5 მილიონ გირვანქა სტერლინგს გვჩუქნის!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დიდი ბრიტანეთისგან 5 მილიონი გირვანქა სტერლინგის გამოყოფას Twitter-ში ეხმაურება.** მთავრობის მეთაური ხაზს უსვამს, რომ ეს ქვეყნის და მთელი ევროპის უსაფრთხოებაში შეიტანს თავის წვლილს.

**„უაღრესად ვაფასებთ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი დიდი ბრიტანეთისგან 5 მილიონი გირვანქა სტერლინგის გამოყოფას გარე წყაროებიდან მომდინარე კიბერსაფრთხეების მიმართ საქართველოს მედეგობის გასაზრდელად, რაც ქვეყნის და მთელი ევროპის უსაფრთხოებაში შეიტანს თავის წვლილს“.**



„ქართული ოცნება“ შარლ მიშელის შეთანხმებიდან რომ არ გამოსულიყო, საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს მიანიჭებდნენ – „ეს ევროკავშირის მხრიდან შურისძიება იყო“, – ამბობს ანალიტიკოსი სანდრო თვალჭრელიძე,რომელიც საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გვესაუბრება.



შარლ მიშელის შეთანხმებიდან გამოსვლა იდიოტობა გახლდათ!

# სანდრო თვალჭრელიძე: ყველაზე საშინელი რამ კოჰაბიტაცია იყო, არ შეიძლება ძალაუფლებაში რევანშისტული ხროვის დატოვება!

**– პარლამენტის წინ შეკრებილ აქციის მონაწილეებს უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ მიმართა. მან მიმართვაში აღნიშნა, რომ ქართველებს ევროინტეგრაციაში დაეხმარება. როგორ მოახერხებს ზელენსკი ჩვენს დახმარებას, როდესაც უკრაინიდან საქართველოს მიმართ მუდმივად ბრალდებები ისმის? არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ უკრანის პრეზიდენტი მხოლოდ ქართულ ოპოზიციას გულშემატკივრობს?**

– ვოლოდიმირ ზელენსკის მიმართვა ოპოზიციის მიმართ იყო გაკეთებული. ის გულისხმობდა, რომ საქართველო შეუერთდეს სანქციებს და მეორე ფრონტი გაიხსნას. ეს უკრაინას აწყობს და არა ჩვენ.

**– დავით არახამიას მიმართვას როგორ შეაფასებდით, მან ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქად მოიხსენია და აღნიშნა, რომ მის მიმართ სანქციები უნდა დაწესდეს...**

– გასაგებია, რომ ბიძინა ივანიშვილი არახამიას გულზე არ ეხატება. ასეთი შეხედულება დემოკრატია არაა. დემოკრატია არის ის, რისი დამტკიცებაც საჯაროდ შესაძლებელია. არახამიას არანაირი საბუთი არ აქვს, რომ ბიძინა ივანიშვილი სახელმწიფო მართვაში ერევა, ეს მისი მოსაზრებაა და სხვა არაფერი. საერთოდ, დეოლიგარქიზაციის კანონი ბევრს სჭირდება, რადგან ბევრს შეეხება. შეიძლება ბიძინასაც შეეხოს, ასევე, შეიძლება შეეხოთ კეზერაშვილს, თემურ ალასანიას დ ა.შ. ასე რომ, ეს ორმხრივად ბასრი ხმალია. ჩვენ თუ გვინდა მართლა გვქონდეს დემოკრატიული გარემო, მაშინ კანონის უზენაესობას პატივი უნდა ვცეთ და ის გამონაკლისის გარეშე ყველას უნდა შეეხოს.

კიდევ ერთი მთავარი საკითხი, რისი თქმაც მინდა, პირველი – შარლ მიშელმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა და ემანუელ მაკრონმა თქვეს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობის მუხტი უნდა შემცირდეს და დეპოლარიზაცია მოხდეს. დეოლიგარქიზაცია მათთვის უფრო მეორეხარისხოვანი, ხოლო დეპოლარიზაცია კი მნიშვნელოვანია.

**– როგორ გგონიათ, ოპოზიცია არახამიასა და ზელენსკის განცხადებებს როგორ გამოიყენებს, შესაძლოა, რომ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები უკრაინაში კიდევ გაემგზავრონ და მათთან მორიგი კონსულტაციები გამართონ?**

– უკრაინაში ჩავლენ თუ პოლონეთში, მნიშვნელობა არ აქვს. მე სხვა რაღაც მაინტერესებს, ტრადიციულად, 30 წელია ჩვენი ინსტიტუციები ნორმალურად არ მუშაობენ. მაგალითად, გვინახავს სადაც ერთი პროცესი იქნებოდა სახელმწიფოს ღალატი? – არა, და ასეთ სახელმწიფო ღალატის ნიმუშებს მასმედიიდან ვისმენთ. როდესაც ადამიანი ევროპაში მიდის და გაიძახის, ჩემს ქვეყანას კანდიდატის სტატუსი არ მისცეთო, ეს სახელმწიფო ღალატია. იგივე არახამიასთან ჩასვლა და სხვა ქვეყნის მოქალაქესთან კონსულტაცია, ესეც ღალატია. ამდენი ხნის განავლობაში ერთი შპიონი დავიჭირეთ? თქვენ როგორ გგონიათ, არ არსებობენ შპიონები? საზოგადოება გადაჭედილია, მათ შორის შესაბამის უწყებებშიც. რა თქმა უნდა, ამის საბუთი არ მაქვს, მაგრამ ასე ვფიქრობ – ქვეყანა არ არსებობს, სადაც შპიონი არ არის, გამონაკლისი არც საქართველოა, თუმცა არც ერთი არ დაგვიჭერია.

**– შესაბამისი უწყება ვერ ახერხებს მათ დაჭერას თუ ამის ნება არ არსებობს?**

– ბევრი შპიონი გამოჭერილი ჰყავთ, მაგრამ დაჭერით არ იჭერენ. არადა, არც აშშ-ში და არც ევროპაში ამას არ ერიდებიან. მაგალითად, ამერიკაში FBI-ს მაღალჩინოსანი დააკავეს. თუკი ასეთი ინსტიტუტები იმუშავებენ, მაშინ ხალხიც ცოტა ფრთხილად იქნება. ჩვენთან ყველაფერი პირიქით ხდება. აი, მაგალითად, ჩვენმა მთავრობამ „ლოქდაუნის“ დროს ჯარიმები დააწესა, შემდეგ კი მოსახლეობას ის ჩამოაწერა. ამით ხალხს რა უთხრა – თქვენ კანონი დაარღვიეთ და ჩვენ გვერდში ამოგიდგებითო. ეს კანონის უპატივცემლობაა.

**– სწორედ კანონის უპატივცემლობის გამო ხდება, რომ ოპოზიციას გამბედაობა უფრო შეემატა და ამიტომ ითხოვენ მთავრობის გადადგომას და ტექნიკური მთავრობის ჩამოყალიბებას?**

– 30 წელია რუსთაველის გამზირზე ასეთი მოთხოვნები ისმის, ვნახულობთ კარვებსაც და პარლამენტის შენობაზე შტურმსაც კი. მე სხვა რამ მაკვირვებს – ვთქვათ, აქციაზე 150 ათასი კაცი იყო, ეს საქართველოს მოსახლეობის 2,5%-ია. რატომ აძლევ შენს თავს უფლებას, რომ ქართველი ერის სახელით ილაპარაკო?! ერის სახელით ლაპარაკის უფლება კანონის მიერ არჩეულ პარლამენტსა და მთავრობას აქვს. ამ ყველაფერს მთელი ევროპა ისე შეხედავს, როგორც საფრანგეთში ყვითელჟილეტიანებს უყურებდნენ.

მეორე – მოთხოვნაა, ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბება, რაც გამორიცხულია. მთავრობა პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. ოპოზიციას რაც სურს, ამისთვის რიგგარეშე არჩევნების ჩატარებაა საჭირო. ვადამდელი არჩევნები კი ისევ ძველი წესით ჩატარდება, რადგან ახალი საარჩევნო სისტემა 2024 წელს ამოქმედდება. რიგგარეშე არჩევნებს „ქართული ოცნება“ უფრო დიდი სხვაობით მოიგებს, რეალურ პოლიტიკოსებს ეს ესმით. ოპოზიციას „ვარდების რევოლუციის“ სცენარის გამეორება უნდა, მაგრამ ახლა 2004 წელი არაა, ჩვენ ევროკავშირის ასოცირებული წევრი ქვეყანა ვართ. საპარლამენტო უმრავლესობამ შეიძლება კეთილი ნებით მთავრობა დაითხოვოს, ახალ მთავრობაში კი ოპოზიციის წევრები შეიყვანოს, მაგრამ ეს რომ არ მოხდება, ხომ ყველამ კარგად ვიცით, ეს არის პირდაპირ ჩიხისკენ ბიძგი. დარწმუნებული ვარ, 2024 წელს უმრავლესობას ვერავინ მოიპოვებს და ჩვენ გვექნება კოალიციური მთავრობა.

**– დღეს რომ კოალიციური მთავრობა გვყოლოდა, ევროკავშირი კანდიდატის სტატუსს მოგვცემდა?**

– საქართველოს კანდიდატის სტატუსს მიანიჭებდნენ, რომ არა „ქართული ოცნების“ იდიოტური ნაბიჯი – შარლ მიშელის შეთანხმებიდან არ უნდა გამოსულიყვნენ. შურისძიებაა, რადგან ევროკავშირის თავმჯდომარის აბუჩად აგდებას არავინ გაპატიებს. ეს ოდიოზური ფიგურები კლავენ ყველაფერს. ევროკავშირის წევრი რომ გახდე, მათი ფასეულობებით უნდა საზრდოობდე. მათი ძირითადი ფასეულობა სამი პრინციპისგან შედგება, პირველი – ეს არის ძალაუფლების შტოების მკვეთრი გამიჯვნა, საპარლამენტო, სამთავრობო, მასმედია და სასამართლო სისტემა. ძალიან დიდი შეცდომაა ის, რასაც აკეთებს ამერიკა და ევროკავშირი, რომ მოდით, კარგი მოსამართლეები ავირჩიოთო, რადგან არ არსებობენ ასეთები. ერთადერთი, რაც უნდა გაკეთდეს არის ის, რომ ყველა სისხლის სამართლის საქმეში იძულებით, როგორც ამერიკაში მოხდა, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შემოიღონ. მაშინ ვერავინ იტყვის, რომ ვინმე პოლიტიკური ნიშნით არის დაკავებული. ამ დროს საქმის გასაჩივრება მხოლოდ უზენაეს სასამართლოში შეიძლება. აპელაცია ძალიან ძნელია, რადგან ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი ძალიან ძლიერია. ასეთი ტიპის რეფორმა გვჭირდეება.

**– რაც თქვენ ჩამოთვალეთ, როგორ ფიქრობთ, ამის ფონზე დეპოლარიზაცია შესაძლებელია?**

– ძალიან სკეპტიკურად ვარ განწყობილი. ყველაზე საშინელება, რაც გავაკეთეთ, კოჰაბიტაცია იყო. არ შეიძლება ძალაუფლებაში რევანშისტული ძალის დატოვება. ჩვენი ერთადერთი გამოსავალია, რომ ევროკავშირმა რომელიმე ნეიტრალური ძალა დააფინანსოს და განვითარების საშუალება მისცეს, მაშინ შეიძლება უფსკრულის ამოვსება. ასეთი ძალა თუ გაჩნდა, მაშინ კოალიციური მთავრობაც გაჩნდება. წარმოიდგინეთ, პარლამენტში ინტელექტის დეფიციტი გვაქვს, როდესაც საქართველო უმაღლესი დონის პროფესიონალებით სავსეა. ისინი პარლამენტში არ გვინდა, რადგან ნაღდი პროფესიონალი ძნელად მართვადია. ამ პროპორციულმა სისტემამ თავის თავი მოჭამა, მაჟორიტარულ სისტემას უნდა დავუბრუნდეთ. ყველაზე დემოკრატიული არჩევნები ზვიად გამსახურდიას დროს იყო. ანუ შენ მიერ არჩეული დეპუტატისთვის შეგეძლო პასუხი მოგეთხოვა.!. ახლა 100% პროპორციული სისტემაა, რომელიმე პარტიამ გაიმარჯვა, რომელიც დავალებებს არ ასრულებს, ვის უნდა მიაკითხო? ეს ძალიან ცუდი სისტემაა.

**– იმ შემთხვევაში, თუკი 6 თვის შემდეგ კანდიდატის სტატუსს ვერ მივიღებთ, მოვლენები როგორ შიძლება განვითარდეს?**

– სტატუსს მივიღებთ. მეჩვენება, რომ ეს იყო თითის დაქნევა, წესიერად მოიქეცითო. ოღონდ აუცილებელია, რომ პარტიებმა პოლიტიკური ამბიციები დაიოკონ.

ესაუბრა
**ქეთი გიორგაძე**

# NATO-ს სამიტის ახალი დეკლარაცია

NATO-ს მადრიდის სამიტზე, ალიანსის წევრი ქვეყნის ლიდერებმა დეკლარაცია მიიღეს, რომელშიც საქართველოც არის ნახსენები.

დეკლარაციის მიხედვით, ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება პარტნიორების, მათ შორის ბოსნია-ჰერცეგოვინის, საქართველოს და მოლდოვის სპეციალიზებული პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერის გასაძლიერებლად.

**„ევროპაში შეცვლილი უსაფრთხოების გათვალისწინებით, ჩვენ მივიღეთ ახალი ზომების გადაწყვეტილება ჩვენი პარტნიორების, მათ შორის ბოსნია-ჰერცეგოვინის, საქართველოს და მოლდოვის რესპუბლიკის სპეციალიზებული პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერის გასაძლიერებლად. ჩვენ ვმუშაობთ მათთან ერთიანობისა და მდგრადობის გასაძლიერებლად, შესაძლებლობების განვითარებისთვის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დასაცავად. ჩვენ ასევე გავაძლიერებთ ჩვენი სამხრეთის პარტნიორების შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერას“,** – აღნიშნულია დეკლარაციაში.





**ტექსტის თანახმად, სამიტის მონაწილეებს ჰქონდათ აზრთა ღირებული გაცვლა ავსტრალიის, ფინეთის, საქართველოს, იაპონიის, კორეის რესპუბლიკის, ახალი ზელანდიის, შვედეთის, უკრაინის სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურებთან, ასევე ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან და ევროკომისიის პრეზიდენტთან. ამასთან, სამიტის მონაწილეებმა მიიღეს NATO-ს 2022 წლის სტრატეგიული კონცეფცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ადასტურებენ გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღეს 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე და ყველა შემდგომ გადაწყვეტილებას საქართველოსა და უკრაინის მიმართ“.**



**ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე ამბობს, რომ ოპოზიციას იმ საქართველოთი სურს ევროკავშირის წევრობა, როცა თავად იქნებიან ხელისუფლებაში. ანალიტიკოსის შეფასებით, იმ დავალების შესრულება, რომელიც ევროკავშირმა მოგვცა, ხელისუფლებას შეუძლია, მაგრამ შეუძლია იმ ვითარებაში, როდესაც მას ექნება ხალხის და ჩვენი დასავლელი სტრატეგიული პარტნიორების ნდობა, რაც იმათ არა აქვთ.**

## ვაჟა ბერიძე:

# ყველანაირ საქართველოში ვიცხოვრე და ახლა, ამ ახალი აბსურდის გარემოში ცხოვრება აღარ მინდა!



## რას ნიშნავს ეროვნული, ტექნიკური მთავრობა, რომელსაც არასამთავრობოები გვტენიან?!

**— ბატონო ვაჟა, იმ 12 მოთხოვნიდან, რომლის შესრულებას საქართველოსგან ითხოვს ევროკავშირი, ორი მთავარი პუნქტია - დეპოლარიზაცია და დეოლიგარქიზაცია. დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი, როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია არის დაინტერესებული იმაში, რომ დასრულდეს დეპოლარიზაცია, არიან მხარეები ამისთვის მზად?**

— არა, რა თქმა უნდა. ბევრი ფიქრი და ანალიზი არ სჭირდება იმას, რომ მხარეები მზად არ არიან იმისთვის, რომ მოხდეს დეპოლარიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩაწერილია იმ 12-პუნქტიან დავალებაში, რომელიც ევროკავშირმა მოგვცა ქართველებს, არც ერთი მხარე არ არის საამისოდ მზად და არასწორად ესმით დავალების არსი. ორივე მხარე დეპოლარიზაციად მიიჩნევდა არა გარკვეულ თემებზე შეთანხმებას, კომპრომისებს და საერთო პოზიციის ძიებას, არამედ მოპირდაპირე მხარის განადგურებას, პოლიტიკური ველიდან გაშვებას, დამარცხებას, ჩაქოლვას. ეს არის ორივე მხარის პოზიცია. დიდ ფილოსოფოსობას არ საჭიროებს იმის მიხვედრა, რომ შეუძლებელია საერთო პოზიციის და ერთიანობის ჩამოყალიბება.

**— იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორივე მხარეს უნდა ევროკავშირში გაერთიანება?**

— ეს არავინ იცის. ერთ მიმართულებას, რომელსაც ივანიშვილი ხელმძღვანელობს, ფაქტია, რომ გაცხადებული აქვს ევროინტეგრაციის კურსი, კონსტიტუციაში შეიტანეს შესაბამისი ჩანაწერი და ფორმალურად ყველაფერს აკეთებენ, რომ ქვეყანა ევროკავშირისკენ წავიდეს — ჯერ კანდიდატი გახდეს და მერე წევრი. მეორე მხარეს არის ოპოზიცია — „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც სააკაშვილი ხელმძღვანელობს. ჩვენ არ ვართ გულუბრყვილოები და არ გვჯერა, რომ არასამთავრობოები შეიკრიბნენ, პოლიტიკოსებს არაფერს არ ეკითხებიან, ტრიბუნასაც არ უთმობენ და ეს არის ახალი ძალა.

**— ეს არის ჯგუფი, რომელიც ასოცირდება „ნაციონალურ მოძრაობასთან“?**

— რა თქმა უნდა, ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“ მისი მოკავშირეებით, შიგადაშიგ მისი სატელიტეებით. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად პატიმარი პრეზიდენტი და გიგი ბოკერია ორგანულად ვერ იტანენ ერთმანეთს და აქვთ კატეგორიული შეუთავსებლობა, ამ შემთხვევაში ისინი მიზანმა კი არ გააერთიანა, არამედ პოლიტიკურადაც ერთი მიმართულებაა. იმ შემთხვევაში, თუ ჩამოაგდებენ „ოცნების“ რეჟიმს, მერე როგორ გადაინაწილებენ ფუნქციებს და რას იზამენ, ამაზე მერე ივაჭრებენ. ეს მიშა სააკაშვილსაც შეუძლია, გიგა ბოკერიასაც, უგულავასაც და სხვებსაც, ამას მნიშვნელობა არ აქვს.

აქ ორი პიროვნება და ორი ძალაა. მათი შეთანხმება რაღაცა საკითხზე წარმოუდგენელია, გამორიცხულია და მიუღებელია. დააკვირდით რა ხდება მეამბოხეთა ბანაკში — „გირჩი“ და „გირჩის“ განაყოფი გამოდის და ამბობს, რომ არჩევნებმა უნდა გადაწყვიტოსო. არავინ არ ახსენებს იმას, რომ ხალხმა განსაზღვროს ვინ იქნება მთავრობა, რა შემადგენლობის იქნება პარლამენტი. ბოდიშს ვიხდი და ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც. ხალხთან ხელისუფლებასაც გაწყვეტილი აქვს კავშირი და ურთიერთობა. ფასადური მისვლა-მოსვლა ქუჩებში და ორღობეებში არ მიმაჩნია ხალხთან ურთიერთობად.

ახლა მაქარაშვილები და დიღმელაშვილები რომ წავლენ და ეტყვიან მოსახლეობას — ხალხო, ხომ გინდათ იოლად წახვიდეთ ევროპაში, ამიტომ მოდით, მთავრობის სახლთან და დავამხოთ მთავრობაო. ეს დაახლოებით იგივეა, რაც ივანიშვილმა თქვა ერთხელ — ვისაც დასაქმება უნდა, ორგანიზებულად გავუშვებთ ევროპაშიო და დაამხეს ყველაფერი თავზე. იმიტომ, რომ არასწორი კონტექსტით თქვა ივანიშვილმა. კაცი პოლიტიკოსი არ არის და ქვეყნის მართვას შეეჭიდა. რა დეპოლარიზაცია? გამოდიან და გვეუბნებიან, რომ ეს ხელისუფლება უნდა გავუშვათ, ხელისუფლებამ უნდა გადააყენოს ღარიბაშვილი, მაგრამ ახალი მთავრობა კი არ უნდა დანიშნოს, არამედ ეროვნული თანხმობის მთავრობა უნდა შეიქმნასო.

**— როგორ ფიქრობთ, რა ჯგუფი უნდა შეთანხმდეს მთავრობის ფორმირებაზე და როგორი წარმოგიდგენიათ ეროვნული მთავრობა?**

— არანაირად არ წარმომიდგენია. მინდა ვკითხო პატივცემულ მაქარაშვილს, დიღმელაშვილს და სხვებს, რას ნიშნავს ეროვნული მთავრობა? ვინ და ვინ თანხმდებიან მთავრობის შემადგენლობაზე და კონფიგურაციაზე? ეტყობა, ჩვენი ცივილიზაციის ნაწილი უკვე გადავიდა მარსზე. ბატონებო, თუ დროებითი მთავრობა გსურთ, ჯერ უნდა შევარდეთ მთავრობის სახლში, პარლამენტში, დაამხოთ ხელისუფლება, ძალოვანი უწყებები გახადოთ არაქმედითუნარიანი და ამის შემდეგ, კი ბატონო, ილაპარაკეთ რამდენიც გინდათ, რევოლუციური კომიტეტები შექმენით და ა.შ.

ყველანაირ საქართველოში ვიცხოვრე და ახლა, ამ ახალი აბსურდის გარემოში ცხოვრება აღარ მინდა. რას ნიშნავს ეროვნული მთავრობა?! გონიერი ადამიანები ამბობენ, რომ სრულიად გაუგებარია ეროვნული თანხმობის მთავრობა, ტექნიკური მთავრობა და მით უმეტეს მთავრობა, რომელსაც არასამთავრობოები აყალიბებენ თურმე! ეს არასამთავროები ხომ საერთოდ არის უსიერი ტყე.

**— საქართველოს რეალობა აჩვენებს, რომ არასამთავრობო სექტორის ჩართულობა პოლიტიკაში, ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა ამ ქვეყნისა! საერთოდ, რა ჯგუფია და რა დაკვეთაზე მუშაობენ ისინი?**

— დემოკრატიულ ქვეყნებში არასამთავრობო სექტორი არის ძალიან საპასუხისმგებლო მიმართულება და პოზიცია, რომელიც ხელისუფლებებს ეხმარება საკითხების სიღრმისეულ ანალიზში, დასკვნების მომზადებაში, გასაჯაროებაში და ამის საფუძველზე, შემდეგ, პოლიტიკოსებისთვის ნათელია, რა გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირებულია ეს პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მაგრამ საქართველოში ხომ ყველაფერი უკუღმა უნდა გაკეთდეს და ამობრუნებულია ყველაფერი. აბა, მიშა სააკაშვილის მმართველობის დროს თუ გახსოვთ ეს ორგანიზაციები და ამათი კრიტიკული პათოსი, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო კლასიკური ავტორიტარული რეჟიმი უამრავი მიუღებელი გადაცდომით?! სადმე მათი თუნდაც ფრაგმენტული კრიტიკა თუ მოგისმენიათ? — არავის არ მოუსმენია.

კარგია, რასაც ახლა ამბობენ, რომ მათი ფუნქცია არის სიტუაციის კრიტიკული ანალიზი, მაგრამ მათი ფუნქცია არ არის ქვეყნის სათავეში მოსვლა, მით უფრო ხალხის ნების გარეშე. თუ პოლიტიკურ ორგანიზაციას შექმნიან და ხალხი მათ მხარს დაუჭერს, მაშინ ხალხი არის ის ძალა, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი ადამიანის ხელისუფლებაში მოყვანა. ხალხის ნების გარეშე ეს შეუძლებელია.

**— როდესაც ვხედავთ, რომ არსებულ პოლიტიკურ სპექტრს არც დეპოლარიზაციის მიღწევის სურვილი აქვს და არც შესაძლებლობა, ამ ვითარებაში მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ოპოზიციის მიზანია ქვეყანამ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი?**

— პირველი — ოპოზიციას უნდა, რომ ევროკავშირის წევრები გავხდეთ, ოღონდ იმ საქართველოთი, როცა ისინი იქნებიან ხელისუფლებაში. მეორე — იმ დავალების შესრულება, რომელიც ევროკავშირმა ჩვენ მოგვცა, ხელისუფლებას შეუძლია, მაგრამ შეუძლია იმ ვითარებაში, როდესაც მას ექნება ხალხის და ჩვენი დასავლელი სტრატეგიული პარტიორების ნდობა, რაც მათ არ აქვთ. ამ ვითარებაში აქცენტირებული მოწოდება — დეპოლარიზაციისკენ, დესტაბილიზაციისკენ მოწოდებად მიმაჩნია.

რახან სტაბილურობის ვითარებაში პოლიტიკური მოვლენები საქართველოში ისე არ ვითარდება, როგორც ეს ხელს აძლევს მეომარ უკრაინას და ამ შემთხვევაში მათ მფარველ დასავლეთს და კერძოდ, ევროკავშირს, აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს დესტაბილიზაცია საქართველოში, რომ ჩამოყალიბდეს ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა. ამის შემდეგ მათთვის უფრო ადვილი იქნება საქართველოსთან მუშაობა, რომელიც მათი ბოლო ფორპოსტია სამხრეთ კავკასიაში.

მოგეხსენებათ, მიუხედავად გარკვეული უთანხმოებისა, ფაშინიანის სომხეთი არის რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე, მასზე დამოკიდებული ქვეყანა, ხოლო ალიევს, რომელიც ოსტატურად სარგებლობს რუსებსა და თურქებს შორის არსებული განსხვავებული მიდგომებით, რუსეთთანაც აქვს საკმაოდ ახლო ურთიერთობა, თურქეთი ხომ არის მისი სტრატეგიული მოკავშირე. ეს არის ბოლო პლაცდარმი და ვინც ამას დაეუფლება, ის მეტნაკლებად გააკონტროლებს ვითარებას კავკასიაში, როგორც ადრე იყო, როცა მეფის რუსეთი შემოვიდა და დაგვიპყრო. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ დასავლეთი არ ენდობა ივანიშვილის ხელისუფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი იყო თავისი სიტყვის პატრონი, თავისი მრწამსით, საქმიანობით, ნაბიჯებით ამ ქვეყნის სადარაჯოზე მდგომი ადამიანი, მაინც არ ენდობა იმიტომ, რომ ის არის ოლიგარქი, რომელმაც ფული რუსეთში იშოვა და ეჭვი აქვთ, რომ გარკვეული თვალსაზრისით, ფარული ურთიერთობები არსებობს ივანიშვილსა და რუსეთს შორის. ამიტომ, ისინი წავიდნენ ამ გზით. სიტუაცია, რომელიც შექმნილია, დიდი შანსია, რომ გადაიზარდოს დესტაბილიზაციაში, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ხელს აძლევს დასავლეთს.

ერთ, ძალიან საინტერესო პასაჟზე მინდა გავამახვილო ყურადღება — ერთ ტელევიზიაში გახლდით და ვთქვი, რომ 5 ივლისის მოვლენების დროს ექსტრემიზმის ნიშნები შეინიშნებოდა-თქო, ამიტომ ჟურნალისტი და მისი აუდიტორია თავს დამესხნენ, როგორც სჩვევიათ რადიკალებს და უარყვეს ეს ყველაფერი. შეიძლება მეც არ მომწონს არც ის ჟურნალისტები და არც ისინი, ვინც ტენდენციურია და ვინც ოპოზიციურ, ან სამთავრობო პროპაგანდას აწარმოებენ, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ჟურნალისტი უნდა იყოს ხელშეუხებელი.

**— სამწუხაროდ, ჟურნალისტიკა გახდა პოლიტიკური იარაღი ხელისუფლების და ოპოზიციის ხელში...**

— გეთანხმებით, მაგრამ აქ გამოსავალი ჟურნალისტისთვის თავში ჩარტყმა არ არის. გამოსავალი არის სამართლიანი მართლმსაჯულება, რომელიც ნებისმიერ დეტალს, ჟურნალისტის თავხედობა იქნება, თუ რესპოდენტის და ხალხის, მიუკერძოებლად გაარჩევს. მე ვამბობ, რომ დესტაბილიზაციის ნიშნები დავინახე და არ მომეწონა, იმ კონსერვატულ მოძრაობაში ბევრი პატრიოტი ხალხია და მინდა, რომ მათ წესებით იმოქმედონ პოლიტიკურ არენაზე, როგორც ამას აკეთებს ალტერნატივა გერმანიისთვის, ან ეროვნული ფრონტი ლეპენის საფრანგეთში, ან იტალიაში მემარჯვენეები.

ექსტრემიზმია ისიც, რასაც ჩვენი სამართლიანად მაპროტესტებელი მომიტინგეები აკეთებენ. არა პოლიტიკური პროცესი და არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლა, არამედ ეროვნული მთავრობა, ან გნებავთ რევოლუციური მთავრობები. მაშფოთებს დესტაბილიზაციისაკენ მიდრეკილი საუბრები. კარგად მახსოვს 90-იანი წლები, ვინ საით მიერეკებოდა, ესეც მახსოვს და უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდეს ქვეყანა და მეშინია ისევ ისე არ განვითარდეს მოვლენები.

რა მისწრაფებით და გულანთებით საუბრობენ ხელისუფლების დამხობაზე! ბატონებო, დროებითი მთავრობით აპირებთ ევროკავშირში კანდიდატად შესვლას და მერე წევრად? თუ ხელისუფლება რამეში არის დამნაშავე, გადაწყვეტილება მივიღოთ საყოველთაო არჩევნებით, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ არჩევნები და ხალხთან ურთიერთობა არც ხელისუფლებას აძლევს ხელს და არც ამ რედიკალურ ოპოზიციას, ეს არის ტრაგედია.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

# ქართული ღირსებით გამორჩეული ნაღდი მამულიშვილი

## გულითადად გილოცავთ სახელოვან იუბილეს!




**ბორის ერასტის ძე სარალიძე დაიბადა 1932 წლის 1 ივლისს ულამაზეს იმერეთში, ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთში, მრავალშვილიან ოჯახში, სადაც უიშვიათესი სიყვარულით და მზრუნველობით გაიზარდა თავის სამ ძმასთან და დაიკოსთან ერთად. შრომისმოყვარე, კაცთმოყვარე ოჯახმა, სოფლის მადლმა და ღვთით ბოძებულმა ნიჭიერებამ ჩაუყარა საფუძველი მის მომავალ ეროვნულ, გაცისკროვნებულ და აღმატებულ საქმიანობას.**

დაწყებითი განათლება მიიღო სოფლის რვაწლიან სკოლაში, ხოლო 1950 წელს დაამთავრა შორაპნის რკინიგზის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, რომელიც 1955 წელს დაამთავრა კვების მრეწველობის საწარმოთა მანქანების და მოწყობილობების ინჟინრის სპეციალობით.

იგი განაწილებით მუშაობდა უზბეკეთის რესპუბლიკის ბუხარის ოლქში, ღვინის ქარხნების გაერთიანებაში მთავარ მექანიკოსად, შემდეგ თბილისის საკონსტრუქტორო ბიუროში ინჟინერ-კონსტრუქტორად, 1957-1958 წლებში იმუშავა ზესტაფონის ღვინის ქარხნების გაერთიანების მთავარ მექანიკოსად, 1959-1961 წლებში არჩეული იყო კომკავშირის ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივნად, 1961-1963 წლებში მუშაობდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ, 1963-1973 წლებში საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის მეორე მდივნად, ხოლო 1973-1978 წლებში საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის პირველ მდივნად. აქ მოღვაწეობის პერიოდში განსაკუთრებით გამომჟღავნდა მისი მმართველობის გამორჩეული ორგანიზატორული ნიჭი, მისი მიზანსწრაფულობა და სიბეჯითე, რაც ასე სჭირდებოდა ამ უმშვენიერეს და გამორჩეულ კუთხეს, რომელსაც უამრავი პრობლემა აწუხებდა.

**ბატონი ბორისის თავკაცობით აღსრულდა სვანების ოცნება და აშენდა ზუგდიდი-მესტიის 90-კილომეტრიანი მაღალხარისხოვანი, ასფალტირებული გზა ცაგერიდან მესტიამდე, ურთულეს რელიეფზე გაყვანილ იქნა სატელევიზიო მაუწყებლობა. ელექტროენერგიის დეფიციტის გამო, რენტგენის აპარატის ჩართვისას მესტიაში ელექტროენერგია ითიშებოდა. ზუგდიდიდან მესტიამდე გაიჭიმა 35-ე კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ხაზი და ელექტროენერგიით უზრუნველყოფილი იქნა ყველა სოფელი. დაბაში აშენდა ახალი წყალსადენი, კინოთეატრი, სასტუმრო, რესტორანი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლები, სოფლებში — სკოლები.**

1979-1980 წლებში ბატონი ბორისი დაინიშნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, სადაც იგი ჩვეული უნარიანობით ხელმძღვანელობდა ქალაქის ელექტრომეურნეობას, წყალსადენს, ცენტრალური გათბობის სისტემას, სასტუმროების მეურნეობას. მორიგი „თბილისობის" დღესასწაულთან დაკავშირებით, მისი ხელმძღვანელობით ავლაბარში, მეტეხის ეკლესიის მიმდებარედ, უმოკლეს ვადაში აშენდა არაჩვეულებრივი სასტუმრო.

1980-1981 წლებში ბატონი ბორისი მუშაობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველ მდივნად, სადაც მან ქარხნებსა და ფაბრიკებში უამრავ ნოვატორულ და საინტერესო იდეებს ჩაუყარა საფუძველი. ამ კონკრეტული ნოვატორული ფაქტების გამო დიდი ინტერესი გამოხატეს ედუარდ შევარდნაძემ და თენგიზ მენთეშაშვილმა, რომლებმაც ერთი სამუშაო დღე მთლიანად მიუძღვნეს რაიონში არსებული სიახლეების გაცნობასა და შესწავლას შემდგომში მისი პოპულარიზაციისა და გავრცელების გამო..

1982-1985 წლებში ბატონი ბორისი მოღვაწეობდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ხოლო 1985 წლიდან მუშაობდა საქართველოს საავტომობილო გზების მინისტრად. ის ერთადერთი მინისტრია, რომელმაც ეს პოსტი ღირსეულად შეინარჩუნა 19 წელიწადი — 2003 წლამდე, კომუნისტური წყობის საქართველოდან დამოუკიდებელ საქართველოში, ურთულეს და უძნელეს გარემოებებში, რევოლუციების, შიდა დაპირისპირებასა თუ რუსეთთან ომის ვითარებაში.

**მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ აფხაზეთში ომის უმძიმეს წლებში მისი თაოსნობით, უმოკლეს ვადაში იქნა აღდგენილი 4 დანგრეული ხიდი და ედუარდ შევარდნაძის საგანგებო დავალებით, 1993 წლის სექტემბერში, ურთულეს სამთო და კლიმატურ პირობებში, დიდთოვლობაში, იგი სათავეში ჩაუდგა ათასობით ლტოლვილის გადარჩენისთვის მათი კვებით უზრუნველყოფასა და უსაფრთხო გადმოყვანისთვის ზრუნვას.**

ბატონი ბორისი იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს მე-9 და მე-10 მოწვევის დეპუტატი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. 1976 წელს არჩეული იყო სკკპ 25-ე ყრილობის დელეგატად.

1977 წლიდან არის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, 12 გამოგონების ავტორი. 1981 წელს მიენიჭა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემია, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის სამი ორდენით და ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის ორდენით.

ბატონი ბორისის ამქვეყნიურ წარმატებებში უდიდესი როლი და ადგილი ეკუთვნოდა ნაადრევად, იდუმალ მარადისობაში წასულ, მის უსაყვარლეს და უსათნოეს მეუღლეს ცაროს, რომელიც უდიდესი სიყვარულით, ნიჭიერებით და გონიერებით, 45 წლის განმავლობაში მყარ ბურჯად ედგა მხარში ძვირფას მეუღლეს და შესანიშნავ შვილებს.

ბატონი ბორისი გამორჩეული, ბედნიერი და ამაყი კაცია, არაჩვეულებრივი ვაჟიშვილის ზურაბის, ქალიშვილების ოლიკოს და ნონას, რძლის ქეთევანის, სიძეების — გიორგი მატარიძის და ბუკა იოვაძის სასიქადულო საქმიანობის, ულამაზესი ურთიერთობების, ბრწყინვალე შვილიშვილების: ბუკა და რატი სარალიძეების, ლევან და ზურაბ მატარიძეების, ნიკოლოზ და თუთა იოვაძეების, შვილთაშვილის სიმონ ნადირაშვილის გამო.

**ბატონმა ბორისმა, როგორც მრავალმხრივ ნიჭიერმა და გონიერმა პიროვნებამ, შესანიშნავმა მამულიშვილმა, დღემდე შეინარჩუნა ქართული სიდარბაისლე, დიდი სიბრძნე, წესიერი კაცის მაღალი ღირსება, მეგობრებთან, ადამიანებთან მხარში დგომის, სტუმართმოყვარეობის და პატივისცემის გასაოცარი უნარი.**

**დაე, ნუ მოშლოდეს გაფხულის განწყობა, იდღეგრძელოს და იდღეკეთილოს ძვირფას ოჯახთან, ახლობელ ადამიანებთან ერთად, მრავალჟამიერ!**

**მეგობრები,**
**ახლობლები.**

1 ივლისი, 2022 წელი

**ქართული კლუბი, რომელიც თავადაც სამოქალაქო საზოგადოების ნაწილია, ღრმად შეშფოთებული და გაოგნებულია მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების ე.წ. საპროტესტო აქციების გაუგონრად აბსურდული და წრეგადასულად ექსტრემისტული პოლიტიკური მოთხოვნებით: ისინი, ითხოვენ არა მხოლოდ ხელისუფლების გადადგომას, არამედ მათი განაცხადი ე.წ. „ეროვნული თანხმობის ტექნიკური მთავრობის“ შექმნის თაობაზე არის სახელმწიფო ძალაუფლების მიტაცების ანტიკონსტიტუციური, უტიფარი, უანალოგო ანტისამართლებრივი გამოხდომა!**

# შევაჩეროთ სამოქალაქო სექტორის მიერ სახელმწიფოსა და ძალაუფლების მიტაცების მცდელობა!




განსაკუთრებული ცინიზმია, რომ ამ გამოხდომის საბაბს წარმოადგენს ვითომდაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიუღებლობა საქართველოს მიერ, რასაც აპროტესტებენ და მოტივად იყენებენ ხელისუფლების აქციებით დამხობის მცდელობებისათვის. რასაკვირველია, ანტიკონსტიტუციური გადატრიალების მცდელობა, რასაც აშკარად აქვს ადგილი, ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება ევროპულ ღირებულებებსა და რეალურ საფრთხეს უქმნის საქართველოს ურყევი საგარეო კურსის – გახდეს ევროპული თანამეგობრობის წევრი, წარმატების პერსპექტივას.

**საშიაშია არა თვით ეს უმსგავსი მცდელობა, რასაც აშკარა აბსურდულობის გამო, ვიმედოვნებთ, სახელმწიფოს დამაზიანებელი რაიმე პირდაპირი შედეგი არ მოჰყვება, არამედ სწორედ მათი უკვე წრეგადასული ცინიზმი და უტიფრობა. ფსევდოარასამთავრობო სექტორი, მოქმედებს რა თითქოსდა მთელი სამოქალაქო საზოგადოების ურცხვად მითვისებული სახელით, ღიად ემუქრება ქვეყნის კონსტიტუციურ წეს-წყობილებას, დაუფარავად აცხადებს საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულების მთავარ მიზანს: პოლიტიკური ძალაუფლების უკანონო და უსამართლო გზით მიტაცებას, როგორც ეს მოხდა 2003-2012 წწ-ში!**

ასეთი, უკვე ღიად გაცხადებული დანაშაულებრივი მიზანი უშუალოდ მიმართულია სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლების წინააღმდეგ და რეალურად ანგრევს ჩვენს საერთო დასაყრდენს: სამართალსა და სამართლიანობას; ძირს უთხრის ძირეულ, ხელშეუვალ პრინციპს, რასაც ემყარება ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობა და განხორციელება. სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა კონსტიტუციის, სამართლისა და სამართლიანობის, რასაც ოდითგან ქართულად „სჯული“ ეწოდებოდა, დაცვა და აღსრულება! თუ ამას უარვყოფთ, ე.ი. დავთმობთ სჯულს – კონსტიტუციურობას, სამართლიანობასა და კანონიერებას, რასაც ეყრდნობა და ემყარება ქართული სახელმწიფო და რისი დანგრევისკენაც ეს ფსევდო-არასამთავრობოები მოგვიწოდენ, ქვეყნის წარწყმედა და დაღუპვა გარდაუვალია!

სახელმწიფოს საფუძვლების წინააღმდეგ მიმართულ ამ ანტი-სამართლებრივ, ყოვლად უსჯულო შეთქმულებაში, რისი მოწმენიც ჩვენდა სავალალოდ დღეს ვართ, განსაკუთრებით აქტიურობენ ანტიეროვნული პოლიტიკური ძალის, ნაციონალური მოძრაობის, სრული გავლენის ქვეშ მყოფი ისეთი მოჩვენებითად სამოქალაქო, სინამდვილეში კი პოლიტიკურ აქტივისტთა ფსევდოორგანიზაციები, როგორიცაა ვითომ ახალგაზრდობის სახელით მოქმედი „სირცხვილია“; მაგრამ განსაკუთრებით საშიშია მათ უკან ღიად თუ შენიღბულად მყოფი, კარგად ორგანიზებული ანტიეროვნული, ანტი-სახელმწიფოებრივი ფსევდო-სამოქალაქო სექტორის ქსელი, რომლის სათავეშიცაა პრივილეგირებული ე.წ. „ელიტარული ტროიკა“ („საერთაშორისო გამჭვირვალობა“, „ღია საზოგადოება“, „სამართლიანი არჩევნები“); ეს ქსელი ფაქტიურად წარმოადგენს სამოქალაქო სექტორის მითვისებული სახელით შენიღბულ ფსევდო-ლიბერალურ, სოროსისტულ შეთქმულთა ხროვას, რომლის ანტი-ეროვნული, დამანგრეველი საქმიანობა და ხელოვნურად შექმნილი „ცნობადი სახელი“, ფართოდ რეკლამირებული ფსევდო-გავლენა და გამორჩეულად პრივილეგირებული მდგომარეობა უხვი უცხოური დაფინანსებითა თუ „იდეოლოგიური მხარდაჭერით“ არის ნასაზრდოები და კარგადაც უზურნველყოფილი.

**მათი ეს წრეგადასულად უტიფარი, უკვე ღია განაცხადი ხელისუფლების და ფაქტობრივად, სწორედაც სახელმწიფოს მიტაცების (რასაც ასევე უტიფრად – „ოლიგარქ“ ბიძინა ივანიშვილს აბრალებენ!) შესახებ, უკვე ის წითელი ხაზია, რაც მათ გადალახეს და რისი მოთმენაც უკვე შეუწყნარებელი და შეუძლებელიცაა. აუცილებელია, რომ ქართველმა საზოგადოებამ და სახელმწიფომ თავი დაიცვას მათგან და გადაუდებლად მიიღოს შესაბამისი ზომები.**

**ვგულისხმობთ კანონით განსაზღვრულ რეაგირებას კონსტიტუციური წესრიგის დამხობისკენ საჯაროდ გაკეთებულ მოწოდებებზე, ისევე როგორც ამ მოწოდებების უკან მდგარი აშკარა შეთქმულების აღსაკვეთად მოქმედი სამართლის შესაბამისი ყველა საჭირო ზომის გამოყენებას.**

მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი. მსგავსი საფრთხეები რომ სამომავლოდ გამოირიცხოს, უწინარეს ყოვლისა, სამართლიანი წესრიგი არის დასამყარებელი სამოქალაქო სექტორის საქმიანობის, დაფინანსების, მისი როლისა და გავლენის მოსაწესრიგებლად.

ასეთი სისტემის გასამართად არ არის საჭირო „ახალი ველოსიპედის“ გამოგონება. არსებობს განვითარებული დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა. სანიმუშო მაგალითად მოგახსენებთ, რომ აშშ-ში ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც უცხოური სახსრებით ფინანსდება, უნდა დარეგისტრირდეს როგორც უცხო ქვეყნის აგენტი, ხოლო ამ დაფინანსების გამოყენება ზედმიწევნით უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, რათა გამოირიცხოს ეროვნული ინტერესების უცხო სახელმწიფოს ინტერესებთან ყოველგვარი კონფლიქტი. ამასთან, ეროვნული უსაფრთხოება მოითხოვს: ყველამ უნდა იცოდეს, რომ ესა თუ ის ორგანიზაცია მოქმედებს არა საქართველოს სამოქალაქო სექტორის, არამედ იმ უცხო ქვეყნის, ვისგანაც ფინანსდება, სახელით, მისი ინტერესებითა და ხშირად – პირდაპირი დავალებით. დაჟინებით მოვუწოდებთ ხელისუფლებას, რომ განახორციელოს სათანადო საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ამ გამოცდილების და ამერიკული საუკეთესო პრაქტიკის საქართველოში დამკვიდრებას უზრუნველყოფს.

ასევე ყურადსაღებია ევროკავშირის წევრი რიგი აღმოსავლეთევროპული სახელმწიფოების გამოცდილება, რომლებმაც შეძლეს არასამთავრობო სექტორის ადგილობრივი რესურსებით დაფინანსების სამართლიანი სისტემების შექმნა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას გავამახვილებთ უნგრეთის გამოცდილებაზე, რომელმაც უარი თქვა რა ქვეყნიდან გაძევებული სოროსის (არადა, უნგრეთი მისი სამშობლოა), როგორც ანტიეროვნული საერთაშორისო მოძრაობის გამოჩენილი „მოღვაწის“ მუქთა, სინამდვილეში კი – მავნე და საშიშ ფულზე, თავადვე, საკუთარი ქვეყნის სახსრებით უზრუნველყო სამოქალაქო სექტორის სამართლიანი და ასევე, მოქალაქეთა ნების შესატყვისი საბიუჯეტო დაფინანსება. ამ დაფინანსების მთავარი წყაროა საშემოსავლო გადასახადი, რომლის 2% მთლიანად არის მიმართული არასამთავრობო ორგანიზაციების დასაფინანსებლად.

**1. ქართული კლუბიკატეგორიულად ემიჯნება და გადაჭრით გმობს ე.წ. საპროტესტო აქციებზე სამოქალაქო სექტორის სახელით გაკეთებულ განაცხადს, ე.წ. ტექნიკური მთავრობის შექმნის თაობაზე, როგორც ანტიკონსტიტუციურ, უსჯულო გამოხდომას, რომლის მიზანია ავაზაკური შეთქმულების გზით, ხელისუფლებისა და სახელმწიფოს მიტაცება;**

**2. მოუწოდებს მოქმედ ხელისუფლებას, მიიღოს მოქმედი სამართლით განსაზღვრული სათანადო ზომები, უწინარესად – ამ შეთქმულების აღსაკვეთად; ასევე: უმოკლეს ვადებში სამოქალაქო სექტორის ჩართულობით განახორციელოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რათა სამომავლოდ შეუძლებელი გახდეს ფსევდოორგანიზაციების მიერ არასამთავრობო სექტორის სახელის მითვისება, უცხოეთიდან დაფინანსების შემთხვევაში – ეროვნულ და უცხოურ ინტერესთა შორის საშიში კონფლიქტი, ამ ფსევდო-ორგანიზაციების ქსელის და მათი ყალბად, ხელოვნურად შექმნილი „ჭარბი ზეგავლენის“ საქართველოს წინააღმდეგ მტრული მიზნებით, მსგავსი შეთქმულებისათვის, რასაც დღეს თვალს ვადევნებთ, გამოყენება;**

**3. იმედოვნებს და მოელის, რომ ქართველი საზოგადოება და მოქმედი ხელისუფლება, ზემოთ მოყვანილი საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, შექმნის სამართლიან სისტემას, რომლითაც არასამთავრობო სექტორს ექნება მეტი შესაძლებლობა, უკეთესი წვდომა ადგილობრივ, ქართულ რესურსებზე, რათა მისი საქმიანობა, ამ საქმიანობით პატიოსნად შეძენილი სახელი თუ გავლენა სრულად იყოს დამოკიდებული საქართველოს მოქალაქეთა, პირველ ყოვლისა – ადგილობრივი საზოგადოებების (თემისა თუ მუნიციპალური თანასაზოგადოების) და არა ძალაუფლების მანიით შეპყრობილ ვაი-პოლიტიკოსთა თუ ე.წ. უცხოელ „დაუძინებელ მეგობართა“ ინტერესებზე!**

**ქართული კლუბი**

## სტრასბურგმა ბაჩო ახალაიას საჩივრები დაუშვებლად ცნო!

**2022 წლის 30 ივნისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოაქვეყნა განჩინება საქმეზე – „ახალაია საქართველოს წინააღმდეგ“ და საჩივრები დაუშვებლად გამოაცხადა, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი.**



**ბაჩანა ახალაია სტრასბურგის სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ 2012-2014 წლებში სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეების ფარგლებში მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა – იყო უკანონო, რადგან პატიმრობის საერთო ვადა აღემატებოდა კანონით განსაზღვრულ მაქსიმალურ ვადას – 9 თვეს.**

**„მომჩივანი აგრეთვე აცხადებდა, რომ მისი პატიმრობა არ იყო სათანადოდ დასაბუთებული ეროვნული სასამართლოების მიერ და ემსახურებოდა პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლებრივი დევნის მიზანს (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) კონვენციის მე-18 მუხლთან (უფლებათა შეზღუდვის გამოყენების ფარგლები) ერთობლიობაში).**

**ევროპული სასამართლოს შეფასებით, აღკვეთის ღონისძიების სახით მომჩივნის პატიმრობა იყო სრულ შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობასთან და სასამართლოს პრაქტიკასთან. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების ფარგლებში არ ყოფილა გამოძიების განზრახ გაჭიანურება ან რაიმე თვითნებობა საგამოძიებო ორგანოს – პროკურატურის ან სასამართლოს მხრიდან.**

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**

# „მოქალაქეთა დანაზოგებს არავითარი საფრთხე არ ემუქრება“!

საპენსიო სააგენტო განცხადებას ავრცელებს.

**„მაღალი საზოგადოებივი ინტერესიდან გამომდინარე, საპენსიო სააგენტო მედიაში გავრცელებულ არასწორ ინფორმაციას ეხმიანება, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. კერძოდ, გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ საპენსიო სააგენტოს და რაც მთავარია საპენსიო დანაზოგებს არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ და საპენსიო სააგენტო სტაბილურად, ჩვეულ რეჟიმში, აგრძელებს სამუშაო პროცესს. საპენსიო სააგენტო გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის დაცვით ყოველთვის პროაქტიულად აწვდის საზოგადოებას ნებისმიერ ინფორმაციას. ამ შემთხვევაში, სააგენტოსა და სხვადასხვა მედიის წარმომადგენლებს შორის ინტერვიუს დროს საუბარი იყო იმაზე, რომ ქვეყანაში არსებული ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი წარმოადგენს გამოწვევას დანაზოგებისთვის, რასაც შედეგად ბუნებრივია მოსდევს რეალური ამონაგების (ნომინალურ ამონაგებს – ინფლაცია-შემცირება.**

**ამასთან, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მაღალი ინფლაციის დროს რეალური ამონაგების შემცირება დროებითი, მოკლევადიანი მოვლენაა და არ იწვევს მოქალაქეთა შენატანების შემცირებას. მას გავლენა აქვს მხოლოდ დარიცხულ რეალურ სარგებელზე.**

**სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არის სწორედ დადებითი რეალური სარგებლის და მინიმუმ ინფლაციის მაჩვენებელზე მეტი ამონაგების გენერირება. აღნიშნულის მისაღწევად, სააგენტოს საინვესტიციო სამსახურის მხრიდან ხდება პორტფელის სავალუტო დივერსიფიკაცია, გლობალური აქციების შესყიდვა, რეფინანსირებაზე მიბმული საპროცენტო განაკვეთისა და ბაზარზე არსებულ მაღალ, გრძელვადიან ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთების მქონე ინსტრუმენტებში ინვესტირება. აღსანიშნავია ისიც, რომ საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო პორტფელის მომგებიანობა აგრძელებს ზრდას იმ დროს როდესაც გლობალურად თითქმის ყველა აქტივის კლასის ფასები მნიშვნელოვნად შემცირებულია.**

**შესაბამისად, გვინდა მოვუწოდოთ მედიის წარმომადგენლებს, თავი შეიკავონ არაზუსტი და მცდარი ინფორმაციის გავრცელებისგან. სააგენტო კვლავაც მზად არის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს სრული და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს საქმიანობისა და შედეგების შესახებ“,** – ნათქვამია განცხადებაში.

# ვისია, ვისია, განძი მრავალი?!



## კოლუმბიის სანაპიროსთან მე-18 საუკუნეში ჩაძირულ გემზე $17 მილიარდის განძია ჩატვირთული

**კოლუმბიის არმია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ჩაძირული გემის ფოტოებს აქვეყნებს. წყალქვეშ ამ გემის ადგილმდებარეობა სამი საუკუნის განმავლობაში უცნობი იყო.**

განძეულით დატვირთული ესპანური გალეონი „სან-ხოსე“ 1708 წელს, ესპანური მემკვიდრეობისთვის ომის დროს ჩაძირა ბრიტანეთის ფლოტის გემმა.

**გემის ეკიპაჟი დაახლოებით 600 ადამიანს შეადგენდა და მიჩნეულია, რომ სულ მცირე 200 ტონა განძი გადაჰქონდა, მათ შორის იყო ოქროსა და ვერცხლის მონეტები, ასევე ზურმუხტები, რომელთა ღირებულება დღევანდელი ფასით 17 მილიარდ აშშ დოლარამდე უნდა იყოს.**

**ამ გემს ხშირად „ჩაძირულ გემთა წმინდა გრაალს“ უწოდებენ. 2015 წელს ის კოლუმბიის საზღვაო ძალებმა ქალაქ კარტახენის სანაპიროსთან იპოვეს და ზუსტი ადგილმდებარეობა გაასაიდუმლოვეს.**

რამდენიმე დღის წინ, კოლუმბიის პრეზიდენტმა ივან დუკემ ჩაძირული გემის ჯერ არნახული ფოტო-ვიდეომასალა გამოაქვეყნა. ფოტოებში ჩანს მრავალი ახლად აღმოჩენილი განძი, მათ შორის ჩინური კერამიკა, ოქროს მონეტები, ხმლები და ზარბაზნები.

**„იდეა მდგომარეობს აღდგენასა და მომავალში ამოღებისათვის საჭირო მდგრადი ფინანსური მექანიზმის შექმნაში. ამ გზით ჩვენ დავიცავთ განძს, გალეონ „სან ხოსეს“ მემკვიდრეობას“,** – განაცხადა დუკემ პრესკონფერენციაზე.

**ხელისუფლების განცხადებით, ვიდეო და ფოტოები დისტანციურად მომუშავე თანამედროვე აღჭურვილობამ გადაიღო, რომელიც დაახლოებით 1000 მეტრის სიღრმეში ჩავიდა გემის შესასწავლად. ზარბაზნებზე არსებული წარწერები ცხადყოფს, რომ ისინი 1655 წელს არის დამზადებული ესპანეთის ქალაქ სევილიასა და კადისში. კოლუმბიის საზღვაო ძალების ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ადმირალ ხოსე ხოაკინ ამესკიტას განცხადებით, ასევე აღმოჩენილია იმ დროისათვის ტიპური ოქროს მონეტები. როგორც კოლუმბიის პრეზიდენტმა აღნიშნა, გემის მონიტორინგისას, მის სიახლოვეს ასევე აღმოაჩინეს კიდევ ორი სხვა ჩაძირული ხომალდი – კოლონიური ნავი და შხუნა, რომელიც 1800-იანი წლებს უნდა ეკუთვნოდეს. აღმოჩენის შემდეგ, „სან ხოსეს“ ირგვლივ სამემკვიდრეო ბრძოლა გაჩაღდა.**

კოლუმბიამ ჩაძირული გემი თავის საკუთრებად გამოაცხადა; ყოფილმა პრეზიდენტმა ხუან მანუელ სანტოსმა 2013 წელს ხელი მოაწერა კანონს ჩაძირული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, კოლუმბიის ტერიტორიულ წყლებში აღმოჩენილი არტეფაქტები ამ ქვეყანას ეკუთვნის.

**თუმცა, გემზე პრეტენზიას აცხადებს ესპანეთიც, რომელიც აღნიშნავს, რომ გემი მისი საკუთრება იყო და საკუთარი პრეტენზიის დასაცავად იუნესკოს წყალქვეშა კულტურული მემკვიდრეობის კონვენციას იშველიებს. საქმეს კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტიც, რომ გემის განძის დიდი ნაწილი სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან იყო წაღებული, რომელთაგან ზოგიერთს ასევე შეიძლება გაუჩნდეს მასზე პრეტენზია.**

**მიხეილ ჭაბუკაშვილი**

# ახალი დაცული ტერიტორიები შიდა ქართლში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში



**საქართველოს ისტორიაში პირველად, UNESCO-მ ორი დაცული ტერიტორია ბიოსფერული რეზერვატების საერთაშორისო ნუსხაში შეიტანა. ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.**

ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი სამხრეთ კავკასიის რეგიონში არცერთ ტერიტორიას არ ჰქონდა. „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი“ და „სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი“ წარმოადგენს პირველ პრეცედენტს რეგიონის მასშტაბით.

**„ბიოსფერული რეზერვატის დაარსების და განვითარების პოტენციალის შესწავლა 2015 წლიდან დაიწყო. შეირჩა კახეთის რეგიონი. ევროკავშირის მხარდაჭერით, დაიწყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ბიოსფერული რეზერვატის შექმნაზე შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა, განვითარდა ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა და ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებები. ამავე დროს, თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში, გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით, დაიწყო ანალოგიური პროცესი. ჩატარდა მასშტაბური სამუშაოები; რომ არა ასეთი მხარდაჭერა, შედეგის მიღება რთული იქნებოდა. შედეგად კი, 15 ივნისს იუნესკოს მიერ მიღებულ იქნა ისტორიული გადაწყვეტილება“,** – განაცხადა ოთარ შამუგიამ.

მინისტრის განმარტებით, ქვეყანაში ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიმართულებით ხელისუფლება კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს. ყოველწლიურად აფართოებს დაცულ ტერიტორიებს და მიმდინარე წელს ფართობის გაზრდა კიდევ 100 ათასი ჰექტრით მოხდება. უკვე ინიცირებული კანონპროექტების თანახმად იქმნება ახალი დაცული ტერიტორიები შიდა ქართლში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონში. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ მაია ბითაძემ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ UNESCO-ს მიერ ორი დაცული ტერიტორიის ბიოსფერული რეზერვატების საერთაშორისო ნუსხაში შეტანა, ქვეყნისთვის უნიკალური შესაძლებლობაა როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით, ასევე ტურისტული რეკრეაციული მიზნებისა და ზოგადად ლანდშაფტის დაცვის თვალსაზრისით.

**„ეს არის იუნესკოს მიერ აღიარებული პირველი ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი სამხრეთ კავკასიის რეგიონში – „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი“ და „სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი“. მოხარული ვარ, რომ ევროკავშირის, გერმანიის მთავრობის, ზუკოვის ფონდის, GIZ-ისა და საქართველოს მთავრობის წარმატებული თანამშრომლობის შედეგი უკვე სახეზეა. პროექტის მიზანია მიწის, ბუნებისა და ბიოსფეროს ჰარმონიზება“,** – განაცხადა გერმანიის ელჩმა საქართველოში ჰუბერტ ქნირშმა.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს აგილ ახმედოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** აგილ ახმედოვი (პ/ნ 12004000061), გარდაბანი, ს. ყარაჯალარი, მე-10 ქ. №27

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
გარდაბანი, ს. ყარაჯალარი (საკადასტრო კოდი: 81.06.11.489).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 28249.68 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 1 ივლისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 13 ივლისი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP80143122;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 801431

6. **მოვალე:** აგილ ახმედოვი (პ/ნ 12004000061), გარდაბანი, ს. ყარაჯალარი, მე-10 ქ. №27;
არაზ ბაირამოვი (პ/ნ 12004000303), გარდაბანი, ს. ყარაჯალარი, მე-8 ქ. №5.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP80143122; ლოტის ნომერი: 801431).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 13 ივლისის 10:00 საათამდე.



# რატომ დაიშალა ისრაელის მმართველი კოალიცია? ისევ ბალკანიზაციის თაობაზე...

**ისრაელის მმართველი კოალიციის ლიდერებმა, პრემიერმა ნაფტალი ბენეტმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა, იაირ ლაპიდმა, მსოფლიოს აცნობეს, რომ კოალიციამ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს, ქნესეთის გაწვევა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება გადაწყვიტა, რომელიც, ბოლო სამ წელიწადში, მეხუთე არჩევნები იქნება და, სავარაუდოდ, ოქტომბერში ან ნოემბერში გაიმართება. ადრე მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ქნესეთის დაშლისა და ახალი არჩევნების თარიღის ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ, ნაფტალი ბენეტი უნდა გადადგეს და პრემიერის გარდამავალი პოსტი იაირ ლაპიდმა უნდა დაიკავოს. დღეს, ისრაელისთვის რთული, მაგრამ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთო, თქვა ბენეტმა. კოალიციის დაშლით ნაფტალი ბენეტი ისტორიაში შევიდა, როგორც ისრაელის ყველაზე მოკლევადიანი პრემიერ-მინისტრი. გარდა ამისა, ის პირველი პრემიერი და პარტიის ლიდერია, რომელსაც ქნესეთში დეპუტატის მხოლოდ ექვსი მანდატი ჰქონდა.**

რატომ დაიშალა ისრაელის მმართველი კოალიცია? კოალიციაში შემავალი რვა პოლიტიკური ძალა ვერ შეთანხმდა პრინციპულ საკითხზე, გახანგრძლივდეს დოკუმენტის მოქმედების ვადა, რომლის მიხედვით, დასავლეთ სანაპიროზე ებრაული დასახლებები უნდა ცხოვრობდნენ ისრაელის და არა პალესტინის ხელისუფლების კანონებით.

შეგახსენებთ, რომ ეგრეთ წოდებული დასავლეთ სანაპირო, იგივე იუდეა, მდინარე იორდანეს მარცხენა მხარეს მდებარე მიწაა, რომელიც 1967 წლის ექვსდღიანი ომის შედეგად, ისრაელის მიწა-წყაალს შეუერთდა. დოკუმენტის გახანგრძლივებას მხარი არ დაუჭირეს კოალიციაში შემავალმა არაბმა დეპუტატებმა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ნაფტალი ბენეტისა და მისი მომხრე დეპუტატებისთვის. ამას ისიც დაემატა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა ბენეტის პარტიის ერთ-ერთმა წევრმა დატოვა. შესაბამისად, მმართველ კოალიციას ქნესეთში მოქმედი 120 მანდატიდან მხოლოდ 59 დარჩა. ლაპიდმა და ბენეტმა, სხვა რამდენიმე პარტიასთან ერთად, კოალიციური მთავრობა ზუსტად ერთი წლის წინ, 2021 წლის ივნისში ჩამოაყალიბეს.

კოალიცია მემარჯვენეების, ლიბერალების და მუსლიმ არაბთა პარტიებისგან შედგებოდა. ბოლო დროს, მათ უთანხმოება ბევრ მნიშვნელოვან საკითხში ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ კოალიციამ წარმატებით გაატარა თავისი ეკონომიკური პოლიტიკა. მთავრობამ მოკლე დროში შეძლო უმუშევრობის შემცირება და საჭირო რეფორმების გატარება. მთავრობის სუსტი მხარე იყო არაბთა პარტიის წევრობა კოალიციაში. სწორედაც რომ, ქვეყნის არაბი მოსახლეობის საკითხმა დაასვა დაღი კოალიციას, რომელიც ყოველთვის იყო და ახლაც არის პოლარიზაციის მთავარი მიზეზი ისრაელში.

ისრაელის ყოფილმა პრემიერმა ბიბი ნეთანიაჰუმ კოალიციის გადაწყვეტილება შეაქო და განაცხადა, რომ მას ფართო ნაციონალური კოალიციის ჩამოყალიბება სურს. ბოლო სოციალური გამოკითხვების მიხედვით, ყველასთვის ცნობილ ბიბის ხალახალი პრემიერობის საკმაოდ დიდი შანსი აქვს. ისრაელის ანალიტიკოსების აზრით, მომავალი არჩევნების ბედი დიდად იქნება დამოკიდებული რეპატრიანტებზე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან. ისრაელის მედია აღნიშნავს, რომ კოალიცია ცუდ დროს დაიშალა, რადგან სწორედ ახლა დგას ისრაელი დიდი გამოწვევების წინაშე. ესაა ურთიერთობა სირიასთან და ირანთან, ტერორიზმის მომძლავრებული საშიშროება და რთული ურთიერთობა რუსეთთან.



ამ ყველაფრის გარდა, მომავალ თვეში, უნდა შედგეს ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტი ისრაელში, რაც ბაიდენის ახლო აღმოსავლური ტურის დაგეგმილი ნაწილია. ბაიდენს ამ ვოიაჟის დროს სურს, სპარსეთის ყურის ქვეყნები ანტირუსულ კოალიციაში გადმოიბიროს და ნავთობის წარმოების გაზრდაზე დაითანხმოს. ამრიგად არამდგრადი მთავრობა ისრაელში ბაიდენის ადმინისტრაციას ხელს უშლის საქმეში, თუმცა, ამერიკის ელჩმა ისრაელში განაცხადა, რომ მმართველი კოალიციის დაშლა გავლენას ვერ მოახდენს პრეზიდენტის სურვილსა და მზადყოფნაზე, განახორციელოს დაგეგმილი ვიზიტი ისრაელში.

* * *

**მღელვარე მეოცე საუკუნემ იმითაც გაგვაკვირვა, რომ ენით, ისტორიით, კულტურითა და ფსიქოეთნიკურად სრულიად განსხვავებული ერები ჯერ გიგანტურ სახელწიფოებად გააერთიანა, ბოლოს კი ისევ დამოუკიდებელ ქვეყნებად აქცია ისინი. ასეთი გეოპოლიტიკური მეტამორფოზების ყველაზე მკაფიო მაგალითი ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და იუგოსლავია, ანუ სამხრეთის სლავთა გაერთიანებაა, რომლებიც ისეთივე ელვის უსწრაფესად დაიშალა, როგორც, ერთ დროს, ძალიან ხელოვნურად და ძალადობრივად იყო შეკოწიწებული.**

ლიბერალურ-დემოკრატიული თვალთახედვის ფონზე, ამ ორი ეთნიკურ-პოლიტიკური კონგლომერატის დანაწევრება პატარ-პატარა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, ისტორიულ სიკეთედ ჩაითვალა, ზოგადად, მაგრამ არიან ადამიანები, და არცთუ ისე ცოტანი, ვინც ასე არ თვლის. პირიქით, მისტირიან კიდეც იმ ძველ, და იმ დროისთვის საკმაოდ მძლავრ, სახელწიფოებრივ ერთიანობას. მაგალითად, ვლადიმირ პუტინმა საბჭოთა კავშირის დანგრევა ჩვენი დროის ერთ დიდ გეოპოლიტიკურ კატასტროფად მიიჩნია.

დღემდე საკამათოა, თუ რა აზრი გამოსჭვივის რუსეთის პრეზიდენტის ამ ცნობილ კომენტარში. ითვლება, რომ საბჭოთა კავშირი უფრო მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ დაიშალა, ვიდრე, იუგოსლავია, რომლის დანაწევრების პროცესს ხანგრძლივი ომები და სისხლისღვრა მოჰყვა, თუმცა, თუ ქართველს ჰკითხავ, საბჭოთა კავშირის დაშლა სულაც არ ყოფილა უსისხლო და უმტკივნეულო, მაგრამ, დავუბრუნდეთ იუგოსლავიას. მოვლენას, რომელმაც იუგოსლავიის ფრაგმენტაცია გამოიწვია, ისტორიკოსებმა ბალკანიზაცია დაარქვეს. მეცნიერები დღესაც მსჯელობენ იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა ამ საკმაოდ ძლიერი და მიმზიდველი ქვეყნის დაშლა.

მახსოვს, საბჭოთა ტურისტებს აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე მეტად იუგოსლავიაში მიუწევდათ ხოლმე გული, განვითარების სოციალისტური მოდელიდან მისი ამოვარდნილობისა და კაპიტალიზმისთვის ერთგვარი უპირატესობის მინიჭების გამო. ისტორიკოსების აზრით, იუგოსლავიის დაშლას არაერთი წანამძღვარი ჰქონდა: პოლიტ-ეკონომიკური ჩავარდნა, იდეოლოგიური კრიზისი, სახელწიფო ძალაუფლების მორყევა, ეთნოკონფლიქტები, დიდ პოლიტიკურ მოთამაშეთა ზეწოლა, და ბოლოს, თავად საბჭოეთის რღვევის მაგალითი. იმასაც ამბობენ, რომ ქვეყნის შიგნით არსებულ გარემოებათა სიმწვავემ უფრო მეტი ქნა, ვიდრე გარე ფაქტორებმა.

ბალკანეთი, ისტორიულად, რთული და ჩახლართული რეგიონია, რომელიც ყოველთვის მჭიდროდ იყო დასახლებული სხვადასხვა ეროვნებისა და რწმენის მატარებელი ადამიანებით. მაგალითად, ხორვატები კათოლიკეები არიან, ალბანელები მუსლიმები და სერბები მართლმადიდებლები. ეთნოკონფლიქტებს სწორედ ეს გარემოება იწვევდა ხოლმე. რეგიონი დიდი იმპერიების ხშირი შეტაკების ადგილიც იყო, რომელიც მეთხუთმეტედან მეცხრამეტე საუკუნემდე ოსმალეთის იმპერიას ჰქონდა დაპყრობილი. შემდეგ, ავსტრია-უნგრეთის იმპერია განაგებდა. რეგიონული მსოფლმხედველობაც შესაბამისად ყალიბდებოდა. ბალკანეთში მცხოვრებ ეთნო-ჯგუფებს შორის არ იყო ერთიანობა, რითაც გარეშე ძალები სარგებლობდნენ. მაგალითად თუნდაც ის გამოდგება, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, ხორვატები და ალბანელები ნაცისტურ გერმანიას უჭერდნენ მხარს, სერბები კი, არა.

იუგოსლავია, როგორც ერთიანი სახელწიფო, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა, რომლის დამაარსებელი და უდავო ლიდერი იოსიპ ბროზ ტიტო იყო. ტიტოს იუგოსლავია რთული კონსტრუქციის სახელმწიფოს წარმოადგენდა. ეს იყო ფედერაცია, რომელშიც ექვსი რესპუბლიკა და ორი ავტონომია შედიოდა. წარმოშობით ხორვატი ტიტო, ქვეყანაში ყოველგვარ ეთნიკურ სულისკვეთებას ახშობდა. მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, სერბი იყავი თუ ხორვატი. მთავარი იყო სახელმწიფოს ერთგულება. და მაინც, სერბებს მეტი უპირატესობა ჰქონდათ, ვიდრე, სხვა ერებს. ზუსტად ისე, როგორც საბჭოთა კავშირში რუსებს. ტიტოს გარდაცვალების შემდეგ, იუგოსლავიის კომუნისტური ხელმძღვანელობა ვეღარ უმკლავდებოდა ეთნო-პოლიტიკურ იდეებზე აღმოცენებულ ამბოხს. სლობოდან მილოშევიჩის ქვეყნის მეთაურად მოსვლისთანავე, ხელისუფლებამ მკვეთრი პრო-სერბული პოლიტიკის გატარება დაიწყო. ქვეყანაში სეპარატისტულმა დუღილმა იმატა და ყველა კრიზისმა, ეკონომიკურმაც და პოლიტიკურმაც, ერთად იჩინა თავი.

ქვეყნის ოფიციალური დაშლა იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ბოლო, 1990 წლის, ყრილობაზე დაიწყო. იუგოსლავიაში შემავალმა ყველა რესპუბლიკამ კავშირიდან გასვლის სურვილი გამოთქვა. ეს უკვე სკანდალი იყო. ყრილობა ისე დამთავრდა, რომ ვერაფერზე ვერ შეთანხმდნენ, თუმცა, სლოვენიამ, ხორვატიამ და მაკედონიამ დამოუკიდებლობა ერთად გამოაცხადეს. ეს იყო ეროვნული თვითგამორკვევის მცდელობები, რასაც მთავრობამ სამხედრო წინააღმდეგობა გაუწია. ქვეყანა ომის ქარცეცხლში გაეხვია, რომლის მთავარი მიზეზი ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების საზღვრების დადგენა იყო.

საქმეს ის ართულებდა, რომ სხვადასხვა, კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ჯგუფები მთელს ქვეყანაში იყვნენ გაფანტულნი. ხორვატიაში მცხოვრებმა სერბებმა გამოყოფა და სერბეთში შესვლა მოისურვეს, რამაც 1991 წელს ხორვატიასა და სერბეთს შორის შეიარაღებული შეტაკება გამოიწვია. საომარი მოქმედებები ქვეყნის სხვა რეგიონებშიც დაიწყო. სლოვენიაში და მაკედონიაში კონფლიქტი შედარებით სწრაფად მოგვარდა, რადგან საზღვრები სერბეთთან მათ უკვე მოწესრიგებილი ჰქონდათ.

ყველაზე ხანგრძლივი და სისხლიანი შეტაკება სერბეთ-ხორვატიის და ბოსნია-ჰერცეგოვინას ომები იყო. საშინელება დატრიალდა ბოსნიაში. ამ პატარა რესპუბლიკაში სამი ეროვნებისა და რჯულის ადამიანები ცხოვრობდნენ: მართლმადიდებელი სერბები, კათოლიკე ხორვატები და მუსლიმი ბოსნიელები, რომელთაც ბოსნიაკებს უწოდებენ. რეგიონი ამ ომში სამ ნაწილად გაიყო. უბედურება ის იყო, რომ მოსახლეობა შერეულად ცხოვრობდა და ყველა საბრძოლო მოქმედებას დიდი მსხვერპლი ახლდა.

უნდა ითქვას, რომ ყველა მხარე სასტიკად იქცეოდა. სამივე მხარე ომის ეთნო-წმენდას მიმართავდა. სერბეთის სამხედრო ძალებმა ალყაში მოაქციეს ბოსნიის სამხედრო ძალები და მოსახლეობა. სარაევოს ალყა, რომელიც თითქმის ოთხ წელიწადს გაგრძელდა, ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა მსოფლიო ისტორიაში. იუგოსლავური ომების დასაწყისში დიდი ქვეყნები პასიურობდნენ, მაგრამ ბოსნიის ომმა აჩვენა, რომ ომი შეიძლება ფართომასშტაბიან რელიგიურ დაპირისპირებასა და მესამე მსოფლიო ომშიც კი გადაზრდილიყო. მუსლიმ ბოსნიაკებს მხარს მთელი მუსლიმური სამყარო უჭერდა, თურქეთის ჩათვლით. ბოლოს და ბოლოს, დასავლეთმა, ნატოს ძალების გამოყენებით, ომში ჩარევა გადაწყვიტა. ნატოს ცნობილი სამხედრო ოპერაცია, სახელწოდებით Operation Deliberate Force, 1995 წლის აგვისტოში ჩატარდა, რომელშიც 400 თვითმფრინავი და 5000 ჯარისკაცი მონაწილეობდა.

ოპერაციის მიზანი ბოსნიიდან სერბების სამხედრო ძალების განდევნა და მათი სამშვიდობო მოლაპარაკებებზე წასვლის იძულება იყო, რაც მართლა მოხდა. 1995 წლის 12 ნოემბერს, დეიტონის ცნობილ სამშვიდობო შეთანხმებას მოეწერა ხელი, რითაც იუგოსლავიის ომები დასრულდა, თუმცა, იუგოსლავიის დაშლის პროცესი კიდევ გაგრძელდა. ხორვატიის, სლოვენიის, მაკედონიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინას შემდეგ, დამოუკიდებლობა მონტენეგრომაც გამოაცხადა. მოგვიანებით კი კოსოვოს პრობლემა წარმოიშვა.

პრობლემა, ერთგვარად საქართველოზეც აისახა, და აი, როგორ: დასავლეთმა კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა. სამაგიეროდ, რუსეთმა, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ჯიბრზე, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ ქვეყნებად გამოცხადებას დაუჭირა მხარი. იუგოსლავიიის ყოფილი ნაწილები, დღეს უკვე დამოუკიდებელი ქვეყნები, მათ შორის ნატოსა და ევროკავშირის წევრები, დასავლეთის პროტეჟეები არიან, თუმცა, ბალკანეთის ერებს შორის მაშინ გაღვივებული სიძულვილი ჯერ კიდევ მძვინვარებს.



**ნუგზარ ბ. რუხაძე,**
**პოსტTV**



## პუტინი შვედეთსა და ფინეთს „სარკისებურად“ ემუქრება

**„ჩვენ არაფერი გვაქვს, რასაც შეეძლო ჩვენი შეშფოთება ფინეთისა და შვედეთის ნატო-ში გაწევრიანების თვალსაზრისით. სურთ მათ, კი ბატონო. თუმცა მათ ძალიან მკაფიო წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ, რომ მათთვის ადრე არავითარი საფრთხე არ იყო, ახლა იქ სამხედრო კონტინგენტებისა და ინფრასტრუქტურის განთავსების შემთხვევაში, ჩვენ იძულებული ვიქნებით, ვუპასუხოთ სარკისებურად და შევქმნათ ისეთივე საფრთხე ტერიტორიებისთვის, საიდანაც ჩვენ გვექმნება საფრთხე“,** — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

პუტინის თქმით, „არ შეცვლილა უკრაინაში სპეცოპერაციის მიზანი, რომლის შესახებაც მან 24 თებერვალს განაცხადა“, თუმცა შესაძლოა, ტაქტიკა განსხვავებული იყოს.

**„საბოლოო მიზანი — დონბასის გათავისუფლება და პირობების შექმნაა, რომელიც თავად რუსეთის უსაფრთხოების გარანტიას შექმნის“,** — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

## მილიარდები ბრიტანეთიდან



გაერთიანებული სამეფო უკრაინის შეიარაღებულ ძალებს კიდევ ერთი მილიარდი ფუნტი სტერლინგის ოდენობის დახმარებას გაუწევს. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა ნატოს სამიტის პირველი დღის ბოლოს განაცხადა.

**„ბრიტანული იარაღი, აღჭურვილობა და სამხედრო მომზადება გარდაქმნის უკრაინის თავდაცვას ამ შეჭრის წინააღმდეგ. ჩვენ გავაგრძელებთ უკრაინელი ხალხის სრულ მხარდაჭერას, რათა უზრუნველვყოთ, რომ პუტინი უკრაინაში მარცხს განიცდის“,** — განაცხადა ჯონსონმა. საერთო ჯამში, ომის დაწყების შემდეგ, გაერთიანებულმა სამეფომ უკრაინას 3.8 მილიარდი ფუნტი სტერლინგის ოდენობის დახმარება გაუწია.

## ტყვეობიდან კიდურების გარეშე დაბრუნდნენ

**საზღვაო ქვეითთა 36-ე ცალკეული ბრიგადის მეთაურის, დატყვევებული „აზოვსტალის“ დამცველის სერგეი ვოლინას და ტატიანა ხარკო აცხადებს, რომ იმ სამხედროების 99%-ს, რომლებიც ტყვეობიდან გუშინ გაათავისუფლეს, კიდურები არ აქვს.**



„აზოვსტალის“ დამცველთა ოჯახების ასოციაციის წარმომადგენლის თქმით, გათავისუფლებული სამხედროები საშინელ მდგომარეობაში არიან. თუმცა ბედნიერები არიან, რომ რუსული ტყვეობიდან სახლში დაბრუნება შეძლეს.

**„თითქმის ყველა, 99% ხელების, ფეხების გარეშეა. ზოგს არ ესმის, ზოგი ვერ ხედავს. ზოგი ვერ ლაპარაკობს. ამ ბიჭებს ესაჭიროებათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება, გამოკვლევა“,** — განაცხადა „აზოვსტალის“ დამცველის დამ. მისი თქმით, თავად სერგეი ვოლინა ტყვეობიდან არ გაუთავისუფლებიათ და ოჯახს მასთან არანაირი კავშირი არ აქვს და მის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ფლობს.

# ბინების ფასი იზრდება

## დეველოპერულ კომპანიებს უძრავ ქონებაზე ფასების კორექტირება კიდევ მოუწევთ



**სამშენებლო მასალები განუწყვეტლივ ძვირდება და შესაბამისად, უძრავი ქონების ფასიც იზრდება. მშენებლები ვერანაირ დამაიმედებელ პროგნოზს ვერ აკეთებენ. პანდემიის შემდეგ ფასებზე ყველაზე მეტად რუსეთ-უკრაინის ომი ახდენს გავლენას.**

„საქსტატმა“ მშენებლობის ღირებულების ინდექსი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, საქართველოში ახალი უძრავი ქონების მშენებლობის ღირებულება, წინა წლის მეორე კვარტალთან შედარებით,12.8%-ით არის გაზრდილი. ეს, ძირითადად, გამოწვეული იყო სამშენებლო მასალებზე ფასების 13.6-პროცენტიანი ზრდით, რაც 8.12 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე. მშენებლობის ინდექსის ზრდაზე შემდეგი ფაქტორები მოქმედებდნენ: სამშენებლო მასალები — გაძვირება 13.6%, დასაქმებულთა ხელფასები — მატება 12.5%, მანქანა-დანადგარები — გაძვირება 14.2%, ტრანსპორტირება, საწვავი, ელექტროენერგია -გაძვირება 7.8%, სხვა ხარჯი — მატება 13.2%.

**ყველაზე მეტად ტონაზე 700-დან 1100 დოლარამდე ფასები არმატურაზეა გაზრდილი, რაც 57%-იან მატებას ნიშნავს, თუმცა 15-30 პროცენტის ფარგლებში ფასები ბლოკზე, აგურზე, ცემენტზე და სხვა სამშენებლო მასალებზეცაა მომატებული, რამაც ომამდელ პერიოდთან შედარებით მშენებლობის თვითღირებულება საშუალოდ 20%-ით გააძვირა.**

მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარე **ბესო ორთოიძე** აღნიშნავს, რომ ფასებმა ჯერ კიდევ შარშან დაიწყო მატება, რაც მომხმარებელმა ვერ იგრძნო, რადგან დეველოპერებმა საკუთარი მოგების მარჟა შეამცირეს, თუმცა წელს ბინები ომის გარეშე მაინც გაძვირდებოდა. სიტუაციას შედარებით ლარის გამყარება აბალანსებს. ბოლო 2 თვეში ლარი დოლართან მიმართებაში 15%-ით გამყარდა, 2.90-იან ნიშნულთანაა და პანდემიამდელ მაჩვენებელს დაუბრუნდა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ლარი ბოლოდროინდელმა გამყარებამ შესაძლოა, მხოლოდ ფასების ზრდის ტემპი შეანელოს.

სამშენებლო მასალებზე ფასების ზრდა ჯერ კიდევ პანდემიის პერიოდში დაიწყო, რაც დღემდე გრძელდება. კომპანია „ბალავარის“ ხელმძღვანელი **ბესო თავბერიძე** აცხადებს, რომ, არმატურასთან ერთად, გაძვირდა სხვა სამშენებლო მასალებიც, მათ შორის — ბეტონი და ბლოკი, ამის გამო კი დეველოპერულ კომპანიებს უძრავ ქონებაზე ფასების კორექტირება კიდევ მოუწევთ.

**„ამ კრიზისის გამომწვევი მიზეზი იყო რუსეთ-უკრაინის ომი. რეალურად, არმატურა აღარ შემოდის აღარც რუსეთიდან და აღარც უკრაინიდან. შეიქმნა დეფიციტი ბაზარზე და ბოლო ერთ კვირაში არმატურა, დაახლოებით, 200 დოლარით გაძვირდა. პანდემიის პერიოდში 100%-ით არის გაზრდილი რკინის ფასი, 40%-ით გაძვირდა ბეტონი, სარემონტო მასალების ღირებულებამ კი 80%-ით მოიმატა.**

**ფასების ზრდა დაიწყო პანდემიის დროს, თუმცა ომის პერიოდში დაუჯერებელი ნახტომი დაფიქსირდა. არმატურისა და ყველა სამშენებლო მასალის გაძვირება, საბოლოოდ, ბინის ფასებს ზრდის“,** — განაცხადა ბესო თავბერიძემ.

სამშენებლო მასალებზე ფასების ზრდამ უძრავი ქონების ბაზარზე სწრაფად იმოქმედა. უკვე აშენებულ შენობებში გასაყიდი და გასაქირავებელი ფართები მნიშვნელოვნად გაძვირდა. თუ დეველოპერთა ნაწილმა და მეორადი ბინების მფლობელებმა, განსაკუთრებით გარეუბნებში არსებული ფასი შეინარჩუნეს ან მხოლოდ მცირედით გაზარდეს, მშენებარე და უახლოეს მომავალში ასაშენებელ ბინებზე იგივე უკვე შეუძლებელია.

**ბექა დანელია**



# სავალდებულო დაზღვევა

## ექიმებისა და ავტომობილებისთვის...

**ქვეყანაში სავალდებულო დაზღვევის ამოქმედება აუცილებელია, ეს სადაზღვევო სექტორის განვითარებას, ასევე პაკეტების გაძვირების თავიდან აცილებას შეუწყობს ხელს. ამის შესახებ დაზღვევის ექსპერტები საუბრობენ და მიუთითებენ იმ ორ სახეობას, რომელშიც სავალდებულო დაზღვევის ამოქმედება პირველი რიგის აუცილებლობაა. ესაა ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა მესამე პირის მიმართ და ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.**

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის **დავით ონოფრიშვილის** განცხადებით, სადაზღვევო კომპანიები **კერძო სტრუქტურები** არიან და წაგებაზე ვერ იმუშავებენ. ამიტომ, თუ ფასების ზრდაა ჯანდაცვის სფეროში, ტარიფებს სადაზღვევოებიც გადახედავენ და თავად გადაწყვეტენ, ზრდა იყოს 5, 10 თუ 15%-იანი. „ბბ დაზღვევის“ გენერალური დირექტორის კოტე სულამანიძის განცხადებით, თვითღირებულების გარდა, მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, თუ რამდენად გაიზრდება ბაზარი. მისი შეფასებით, თუ ქვეყანაში შემოვა სავალდებულო დაზღვევა, ბაზრის მოცულობა გაიზრდება, მოცულობის ზრდასთან ერთად კი სადაზღვევო კომპანიებს ექნებათ შესაძლებლობა, ფასები დასწიონ.

**„სამწუხაროდ, მოცულობის ზრდა ჯერჯერობით ვერ განხორციელდა, რადგან სავალდებულო დაზღვევები ისევ არ გვაქვს საქართველოში, ვგულისხმობ ძირითად სავალდებულო დაზღვევას ავტოსატრანსპორტო საშუალებების კუთხით. ამიტომ მოლოდინი მაქვს, რომ ბაზარზე ფასები გაიზრდება და თუ არ გაიზრდება, გაიზრდება ფრანშიზები, რითაც დაკომპენსირდება ფასების არ მომატება,“** — განაცხადა კოტე სულამანიძემ.

ესპანეთის დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლის **ვიქტორ გარსია კალიეს** განცხადებით, საქართველოში ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევა განვითარებული არ არის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის. მისივე შეფასებით, საჭიროა, ქვეყანაში რაც შეიძლება მალე სავალდებულო დაზღვევაც ამოქმედდეს. დავით ონოფრიშვილი ადასტურებს, რომ მიმდინარეობს მუშაობა რამდენიმე სავალდებულო პროდუქტზე. ერთია ექიმთა სავალდებულო დაზღვევა და მესამე პირის მიმართ ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომლის კანონპროექტი მუშავდება და მისი განხილვა პარლამენტში სავარაუდოდ შემოდგომისთვის დაიწყება.

ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის სქემაზე jandacva.ge-სთან სპეციალისტებმა ისაუბრეს. როგორც სადაზღვევო ასოციაციის პრეზიდენტმა **დევი ხეჩინაშვილმა** განაცხადა, პროექტზე მუშაობა უკვე დაწყებულია ევროკავშირის ექსპერტებისა და მსოფლიო ბანკის მონაწილეობით. როდის ამოქმედდება აღნიშნული დაზღვევა ქვეყანაში, ვადებს ხეჩინაშვილი ვერ ასახელებს, თუმცა ამბობს, რომ ასეთი დაზღვევის ამოქმედების აუცილებლობა დღის წესრიგში დგას.

მასთან, ხეჩინაშვილის ინფორმაციით, სადაზღვევო კომპანიებს ეს პროდუქტი აქვთ და ქვეყანაში უკვე ათასობით ექიმს აქვს ის შეძენილი. პროდუქტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ, როდესაც საექიმო შეცდომის გამო პაციენტს ჯანმრთელობა უზიანდება, სადაზღვევო კომპანია, სადაც ექიმია დაზღვეული, დაზარალებულს ზარალს უნაზღაურებს. ეს ზარალი შეიძლება იყოს გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორებისთვის საჭირო მკურნალობა და მედიკამენტები, შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში კი მომავალში მისაღები შემოსავლის ანაზღაურება. ასევე კომპენსაცია ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში, რაც ექიმის გადაცდომის შედეგად დადგა.

ექიმის პასუხისმგებლობის დაზღვევა მედიკოსს იცავს ლიცენზიის შეჩერებით ან ჩამორთმევით გამოწვეული შემოსავლის დაკარგვისგანაც. იფარება პაციენტის ჯანმრთელობის გართულების ან გარდაცვალების გამო დაკისრებული დამატებითი მკურნალობის ან კომპენსაციის გაღების ვალდებულება მიუხედავად ექიმის ბრალეულობისა, საჩივრის წინააღმდეგ თავის დასაცავი ხარჯები.

**JANDACVA.GE**

SOS!!!

# საბიუჯეტო ოინები



**საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრებმა შესაძლოა მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობა ფინანსური პრობლემების გამო ვერ მიიღოს.**

როგორც ფარიკაობის ფედერაცია იტყობინება, მის ბიუჯეტში არ არის თანხა, რითაც ივლისში დაგეგმილ მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც ეგვიპტეში გაიმართება, გაემგზავრებიან.

**„ფინანსური პრობლემების გამო, წლის უმნიშვნელოვანეს შეჯიბრზე, მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველი მოფარიკავეების გამოსვლა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ეგვიპტის დედაქალაქში გასამართავი, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე, მხოლოდ 17 დღე დარჩა! საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ბიუჯეტში კი თანხა, რომელიც კაიროში გასამგზავრებლად და მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის მისაღებად არის საჭირო, უბრალოდ არ არის!“,** — წერია ფედერაციის განცხადებაში.

აქვე გეტყვით, რომ სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატმა უნდა გადაწყვიტოს ვინ დაასრულებს სეზონს რეიტინგის ლიდერის რანგში — ქართველი სანდრო ბაზაძე თუ უნგრელი არონ შილაგი.

ამავდროულად, საქართველოს სამბოს ეროვნულმა ფედერაციამ განცხადება გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით ცნობილი გახდა, რომ ფედერაციის ბიუჯეტი 1 იანვრიდან მოყოლებული ცარიელია. სამბოს ფედერაციისთვის უცნობია, რატომ არიან დაფინანსების გარეშე, მაგრამ უახლოეს მომავალში ვითარების უკეთესობისკენ შეცვლის იმედი გამოთქვეს.

**„სამბოს ფედერაციის ბიუჯეტი ნული ლარია! გვინდა, დიდი მადლობა გადავუხადოთ ქართული სამბოს ყველა გულშემატკივარს იმ თანადგომისთვის, რომელსაც მუდმივად ვგრძნობთ. ამ წლების განმავლობაში ჩვენმა სამბისტებმა არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. მათი შრომისა და ძალისხმევის შედეგად, სხვადასხვა ქვეყანაში, მრავალჯერ აჟღერდა საქართველოს ჰიმნი. 2012 წლიდან, სახელმწიფოს ხელშეწყობით, ფედერაციაში მნიშვნელოვანი რეფორმები ხორციელდება. სწორედ, 2012 წლიდან, ყოველწლიურად, სამბოს ეროვნული ფედერაციის ბიუჯეტი იზრდებოდა და ეს ფაქტი, ქართველი სამბისტების წარმატებაში აისახებოდა.**

**აღსანიშნავია, რომ 2021 წელს, ტოკიოში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე, სამბოს, როგორც სპორტის ოლიმპიურ სახეობას, მუდმივი წევრობა მიანიჭეს და ოლიმპიური ოჯახის სრულუფლებიან წევრად აღიარეს. 2022 წელს, საქართველოს სამბოს ეროვნული ნაკრების წევრებმა, ყველა ასაკობრივ ჯგუფში ისეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებებში უნდა მიიღონ მონაწილეობა, როგორიცაა მსოფლიოს ჩემპიონატი, ევროპის ჩემპიონატი, საერთაშორისო ტურნირები, რისთვისაც აუცილებელია მოსამზადებელი შეკრებები. ამასთან, შემოდგომაზე, საქართველომ უნდა უმასპინძლოს არჩილ ჩოხელის სახელობის ევროპის თასს.**

**თუმცა, 2022 წლის 1 იანვრიდან დღემდე, საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის ბიუჯეტი, გაურკვეველი მიზეზების გამო, ნული ლარია. ამ ფონზე, წარმოუდგენელია ზემოხსენებული გეგმების განხორციელება. იმედს ვიტოვებთ, უახლოეს მომავალში, ყველა პრობლემა მოგვარდება“,** — წერია განცხადებაში.

ხალიჩაზე



# რომაული ტრიუმფი

**იტალიის დედაქალაქ რომში მიმდინარე 20 წლამდელ ფალავანთა ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ასპარეზობა დაასრულეს.**

საქართველოს ნაკრებმა ტურნირზე 2 ოქროს, 2 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა!

ევროპის ჩემპიონები ნიკოლოზ ბროლაძე და აჩიკო ბოლქვაძე გახდნენ. ვერცხლის მედლებს თორნიკე მიქელაძე და დიმიტრი ხაჩიძე დაეუფლნენ, ბრინჯაოს მედალი კი, თემურ ოჯონიკიძემ მოიპოვა.

კორტზე

# მიღწევა გაიმეორა

**ნიკოლოზ ბასილაშვილი უიმბლდონის მესამე წრეში გავიდა. ქართველმა ჩოგბურთელმა 1/32 ფინალში ფრანგი ქუენტინ ალისი 2 საათსა და 27 წუთში, 4-სეტიან შეხვედრაში დაამარცხა.**

პირველი სეტი ძალიან დაძაბული იყო, რომლის ბედი ტაიბრეიკზე გადაწყდა — ბასილაშვილმა 9:7 მოიგო და დაწინაურდა. მეორე სეტში ბრძოლა არ ყოფილა და ფრანგმა ქართველს 6:0 აჯობა. თუმცა, ნიკოლოზმა უპირატესობა მესამე სეტიდან ისევ ხელთ იგდო და 7:5 იმარჯვა, ხოლო მეოთხე სეტში ტაიბრეიკზე 7:5 მოიგო და შეხვედრაში გამარჯვებაც იზეიმა — 7:6, 0:6, 7:5, 7:6.



ბასილაშვილმა 3 ეისი შეასრულა და 6 ორმაგი შეცდომა დაუშვა, ხოლო ფრანგს 24 ეისი და მხოლოდ 3 ორმაგი შეცდომა ჰქონდა, მაგრამ საბოლოო გამარჯვება, როგორც ვთქვით, ნიკოლოზმა მოიპოვა.

ამრიგად, ყველაზე პრესტიჟულ დიდ სლემზე ბასილაშვილმა პირადი საუკეთესო შედეგი გაიმეორა და დღეს მესამე წრეში ითამაშებს, სადაც მისი მეტოქე ნიდერლანდელი ტიმ ვან რეიტჰოვენი იქნება. აქვე გეტყვით, რომ ბასილაშვილმა პირველ წრეში ჩეხი ლუკაშ როსოლი 3:2 დაამარცხა.

იმავე დღესვე წყვილთა თანრიგში ჩაერთო ეკატერინე გორგოძე, რომელიც ირინა ბარასთან ერთად დანიელ როუზისა და დესირ კრავჩიკის წყვილს დაუპირისპირდა, მაგრამ ქართველისა და რუმინელის დუეტი ორ სეტში 3:6, 2:6 დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა. შეგახსენებთ, რომ გორგოძე უიმბლდონზე ერთეულებშიც თამაშობდა, მაგრამ პირველივე წრეში წააგო.

აუზში




**საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე დღეს მეცხრე ადგილისთვის იბრძოლებს. დეიან სტანოიევიჩის გუნდმა მეცხრე ადგილის პლეი-ოფის ე.წ ნახევარფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, სამხრეთ აფრიკა, იოლად დაამარცხა — 20:7.**

ქართველმა წყალბურთელებმა უპირატესობა თავიდანვე მოიპოვეს და მატჩის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ. საქართველომ მეტოქეს ოთხივე პერიოდში აჯობა. ამრიგად, საქართველოს ნაკრები იაპონიას შეხვდება და გამარჯვების შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონატს მეცხრე პოზიციაზე დაასრულებს, მეათე ადგილი კი გარანტირებული აქვს. ასე რომ, სადებიუტო მსოფლიოს ჩემპიონატზე 16 მონაწილიდან ათეულში მოხვედრა უდავოდ დადებითი შედეგია.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ აფრიკამდე საქართველოს ნაკრებმა ბრაზილია დაამარცხა (14:10), ხოლო მონტენეგროსთან (9:10), უნგრეთთან (14:18) და ხორვატეთთან (7:13) წააგო.

ოვალური ბურთი

# პლუს სამი

**ზაფხულის ტესტ-სერიებზე ბორჯღალოსანთა სამწვრთნელო შტაბი სამი მაღალი დონის სპეციალისტით გაძლიერდება. დაცვის მწვრთნელი ჯო ვურზლი, ფორვარდების მწვრთნელი პოლ ტიტო და სპორტის მეცნიერი, ფიზმომზადების კონსულტანტი ბენ პოლარდი, ჯერჯერობით გუნდში საცდელი ვადით იმუშავებენ. არაა გამორიცხული, რომ სამივე მათგანი სამწვრთნელო შტაბში 2023 წლის მსოფლიოს თასისთვისაც დარჩეს.**

## ჯო ვურზლი

**ჯო ვურზლი 1977 წელს ლონდონში დაიბადა და სასკოლო რაგბის შემდეგ, 16 წლისა „უოსპსს“ შეუერთდა. 1995 წელს ის ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს და გახდა ყველაზე ახალგაზრდა მორაგბე, ვისაც ამ ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია.**

ვურზლი განსაკუთრებით ძლიერი დაცვაში თამაშისას იყო, მესამე ხაზში სამივე პოზიციას ფარავდა და ეროვნულ გუნდში დებიუტი 1999 წლის მსოფლიო თასზე ტონგას ნაკრებთან ჰქონდა, მომავალ წელს კი, ექვს ერზე შოტლანდიისა და იტალიის ნაკრებების წინააღმდეგ ითამაშა.

ჯო ნაკრებს გაუშინაურდა და ინგლისთან ერთად 2003 წლის მსოფლიოს თასის გამარჯვებული გახდა. მან 2007 წლის მსოფლიოს თასზეც ითამაშა, 2011 წელს კი კისრის ტრავმა მიიღო, რის გამოც ჯერ ნაკრებს დააკლდა, ნოემბერში კი აქტიურ სპორტს ჩამოშორდა. მანამდე, 2009 წელს, მან ბრიტანელი და ირლანდიელი ლომების შემადგენლობაში სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ ითამაშა.

სულ 1999-2011 წლებში ვურზლიმ ინგლისის ნაკრების კვართით 78 მატჩი ჩაატარა და 10 ლელო გაიტანა. საკლუბო დონეზე ის „უოსპსის“ ერთგული დარჩა და 275 შეხვედრაში გუნდს 195 ქულა შესძინა.

სპორტსმენის კარიერის იძულებით დასრულების შემდეგ, მან მწვრთნელობას მიჰყო ხელი და ჯერ ტოპ 14-ის „ბორდოს“ დაცვის მწვრთნელი იყო, ამ სეზონში კი ასევე ტოპ 14-ის „კასტრს“ ავარჯიშებდა და მასთან ერთად ფინალში გავიდა. 2019 წლის მსოფლიოს თასისთვის ვურზლი ბორჯღალოსნებს დაცვაში, ლევან მაისაშვილთან ერთად ავარჯიშებდა.

## ბენ პოლარდი

**ფიზმომზადების კონსულტანტი, სპორტის მეცნიერი ბენ პოლარდი ბორჯღალოსნებთან 2023 წლის მსოფლიო, თასის დასრულებამდე იმუშავებს. მას მსოფლიოს საუკეთესო გუნდებთან მუშაობის 14-წლიანი გამოცდილება აქვს.**

ის ტოპ 14-ის „სტად ფრანსეს“ ფიზმომზადების მთავარი მწვრთნელია, პარალელურად კი ურუგვაის, ჩილეს, ნიდერლანდების მორაგბეთა ნაკრებისა და ბრიტანეთის ჩოგბურთის ასოციაციის კონსულტანტია.

2016-2019 წლებში პოლარდი ინგლისის პრემიერშიფის „სარასენსში“ მუშაობდა და ორჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, ორჯერ კი ჩემპიონთა თასის გამარჯვებული. მთლიანობაში, მან „სარასენსის“ აკადემიაში 8 წელი იმუშავა, 4 წელი კი ინგლისის ნაკრებს ავარჯიშებდა. ინგლისში ასევე მუშაობდა „ბათის“ და „კორნიშის“ ფიზმომზადების მწვრთნელის ასისტენტად, ახალ ზელანდიაში კი „ოკლენდის“ მწვრთნელად.

## პოლ ტიტო

**ახალზელანდიელი პოლ ტიტო 1997-2012 წლებში მეორე ხაზის პოზიციაზე თამაშობდა „ჩიფსში“, „ტარანაკში“, „ჰარიკეინსა“ და „კარდიფში“, ასევე 19 და 21 წლამდე „ოლ ბლექსში“ და „მაორი ოლ ბლექსში“.**




2012 წლიდან მან მწვრთნელობას მიჰყო ხელი და სხვადასხვა დროს „ნიუ პლიმუთში“, „სანიქსში“ (იაპონია), „ჩიფსის“ 18 და 20-წლამდელთა გუნდებში და „ტარანაკის“ კაცთა გუნდში იმუშავა, 2018 წელს საფრანგეთს მიაშურა და ჯერ „პოს“ შერკინების მწვრთნელი იყო, მერე მთავარი მწვრთნელი. 2021 წლიდან ის სამშობლოში დაბრუნდა და ჯერ „ველინგტონის“, მერე კი ავსტრალიური „ვესტერნ ფორსის“ შერკინების მწვრთნელი იყო.

◎ კიდევ ერთი სირცხვილი...

# „ცხინვალის მაცნე“ საფრთხეშია!

**ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან დევნილ, პროფესიონალ ჟურნალისტთა 13-წლიანი ძალისხმევითა და თბილისში სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ფინანსური მხარდაჭერით, ივლისში (2021 წ.) გადაწყდა ცხინვალის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „შიდა ქართლის“ ამოქმედება, მისი პერიოდული დამატების — გაზეთ „ცხინვალის მაცნეს“ სახელწოდებით.**

ნიშანდობლივია, რომ დევნილი გაზეთი, ჩვენი მონატრებული მკითხველის წინაშე მშვიდობის, სიკეთისა და სიმართლის მაცნედ წარდგა. ამას კი, დადებითი რეზონანსი მოჰყვა („შეხსენება“ — ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი, ისაია (№2); „სიკეთისა და სიმართლის მაცნე“ — მარინე გიგინეიშვილი, მარინა თექთუმანიძე, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თანათავმჯდომარეები (№2); „წინ ფართო ასპარეზია“ — ბაღათერ არაბული, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე (№3...).

გაზეთ „ცხინვალის მაცნეს“ 2022 წლიდან დასაფინანსებლად, ცხინვალის რეგიონიდან დევნილი საზოგადოების, სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების წარმომადგენლებმა ერთობლივად მიმართეს (02.12.2021) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ბ-ნ დიმიტრი სანაკოევს, რასაც უარყოფითი — ტრაფარეტული პასუხი (15.12.2021წ.) მოჰყვა: **„თქვენი მიმდინარე წლის 02 დეკემბრის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის 2022 წლის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს მსგავსი ხარჯების გაწევას, შესაბამისად სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია მოკლებულია ფინანსურ შესაძლებლობას დააფინანსოს „ცხინვალის მაცნეს“ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი.“**

მიღებული პასუხი, რბილად რომ ვთქვათ, ისედაც დატანჯულ-გაწამებული დევნილი ცხინვალელების არარად ჩაგდებაა.

**ფორსმაჟორულ ვითარებაში არსებულ გაზეთ „ცხინვალის მაცნეს“ დაფინანსება ადმინისტრაციის კომპეტენციაშიც შედის, რამეთუ ცხინვალიდან დევნილებს დღემდე არავითარი სამთავრობო სტრუქტურა არ გააჩნიათ!**

აქვე აღსანიშნავია ქართულ კინოფილმ „მონანიებიდან“ საქართველოს სახალხო არტისტის ვერიკო ანჯაფარიძის გახმაურებული ფრაზა:

**— „ეს გზა ღვთისმშობლის ტაძართან არ მიმიყვანს?**

**— ეს ვარლამის ქუჩაა, ეს გზა ტაძართან არ მიგიყვანს!**

**— არა? მაშ რა საჭიროა იგი, რის მაქნისია გზა, თუკი ტაძართან არ მიმიყვანს!“** აღნიშნულიდან გამომდინარე, **მართლაცდა რა საჭიროა თბილისში სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია, თუ ცხინვალელთა მწარე ხვედრით ისედაც გულდამძიმებულ გაზეთის მკითხველს (და არა მარტო მათ), ამ (და სხვა) მიმართულებით, მხარში არ ამოუდგება და ჯეროვან დახმარებას არ გაუწევს! ეს ხომ მისი უშუალო მოვალეობაცაა?!**

რატომ არ ითვალისწინებს ადმინისტრაციის 2022 წლის ბიუჯეტი „მსგავსი ხარჯების გაწევას?!“ მაშინ, როცა ადმინისტრაციის ბიუჯეტიდან წლების მანძილზე ფინანსდება სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ნართები;“ „კოსტაობის“ დღისადმი მიძღვნილ ზეიმში ყოველ წელიწადს მონაწილეობენ და აქტიურ მატერიალურ მხარდაჭერას გამოხატავენ სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელები“ („ცმ“, №2, „კოსტაობა“ — სახალხო ზეიმი“)... რაა, ბნელა? „ცხინვალის მაცნე“ — „გერის“ როლში?!

**არ უნდა გაჩერდეს „ცხინვალის მაცნეს“ გამოცემა, რადგანაც სულ სხვა მისია (ცხინვალელთა ჟამიანობის ამსახველი ისტორია) აკისრია. იმასაც შეგახსენებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მითითებითა და გადაწყვეტილებით, „შიდა ქართლი“ თავიდანვე (1991 წ.) გამოსვლას იწყებს როგორც უზენაესი საბჭოს ორგანო, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან, წლების მანძილზე, ტრანსფერით ფინანსდებოდა.**

პირდაპირ გეტყვით, გაზეთ „შიდა ქართლის“ (მასთან ერთად: ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის (გორში), გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის,“ საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის...) დაფინანსებაც, მაშინდელი საქართველოს პრეზიდენტის მ. სააკაშვილის 10.05.2007 წ. (296 ბრძანებულებით შექმნილმა თბილისში სამხრეთ ოსეთის დროებითმა ადმინისტრაციამ (მე-4 პუნქტი — ადმინისტრაციის საქმიანობა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან) შეიწირა!..

გაზეთი უნდა გამოიცემოდეს, რათა გადავარჩინოთ ქართული სიტყვა ჟამთა სიავით ოკუპირებულ ჩვენს რეგიონში.

**როზინზონ ოდიკაძე,**
**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.**




# დიანა ბერიძის მკვლელი — ბერძენი ქირურგი დამნაშავედ ცნეს



**თესალონიკის ნაფიც მსაჯულთა სააპელაციო სასამართლომ 36 წლის დიანა ბერიძის მკვლელობაში ბერძენი ქირურგი დამნაშავედ ერთხმად ცნო. ამ დროისთვის სასჯელის განსაზღვრას ელოდებიან. ამის შესახებ ინფორმაციას ბერძნული მედია ავრცელებს.**

36 წლის სამი შვილის დედამ კლინიკას ვარიკოზული ვენების მოსაშორებელი ოპერაციისთვის მიმართა. საქმის მასალების მიხედვით, ექიმმა ის კლინიკის მიტოვებულ ნაწილში წაიყვანა და პროცედურისთვის არასაჭირო ორი ძლიერი საანესთეზიო პრეპარატი გაუკეთა. სწორედ ამან შეუქმნა პაციენტს რესპირატორული პრობლემები, რამაც მისი გარდაცვალება გამოიწვია. ბრალდებულმა, დახმარების თხოვნის ნაცვლად, 36 წლის ქალის გვამი მანქანაში ჩადო, ჰალკიდიკის რეგიონში წაიღო და კლდიდან გადააგდო. სწორედ იქ იპოვეს გვამი რამდენიმე დღის შემდეგ. ბრალდებულმა სხდომის დაწყებისას განაცხადა, რომ შემთხვევა ტრაგიკული სამედიცინო შეცდომა იყო.

**„ეს იყო ტრაგიკული სამედიცინო შეცდომა, რაზეც ძალიან ვწუხვარ. არ მქონია მისი მოკვლის განზრახვა. არ მქონია განზრახვა, რომ რაიმე ზიანი მიმეყენებინა დიანასთვის, მითუმეტეს, მომეკლა“,** — აღნიშნა ბრალდებულმა.

როგორც უკვე ცნობილია, ბერიძის ოჯახი არ იზიარებს ბრალდებულის განცხადებას, რომ ეს სამედიცინო შეცდომა იყო. მათი ადვოკატი და გარდაცვლილის მეუღლე ცალსახად აცხადებენ, რომ ეს იყო დაგეგმილი, განზრახ მკვლელობა.

**„როცა ჩემი მეუღლე მოკლეს, სამივე ბავშვი არასრულწლოვანი იყო. ოჯახის მოსაზრება შემდეგია, რომ ეს იყო წინასწარ დაგეგმილი მკვლელობა, ფაქტები და დოკუმენტები სწორედ ამაზე მიუთითებს. მას გაუკეთეს წამლები, რომლებიც არ კეთდება ასეთი ოპერაციის შემთხვევაში, შემდეგ კი შეიყვანეს იქ, სადაც არცერთ შემთხვევაში არ გადაჰყავთ პაციენტი“,** — ამბობდა დიანას მეუღლე პროცესზე.

ამავე საქმეზე თესალონიკის ადმინისტრაციულმა სასამართლომ გარდაცვლილის ოჯახისთვის 700 000 ევროს კომპენსაცია დააწესა.

# ახალციხელ ბრალდებულს 17-წლიანი პატიმრობა მიესაჯა

**ახალციხის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ერთი პირის განზრახ მკვლელობის და გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ოჯახის წევრის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო,** — ამის შესახებ ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების შედეგად დადგინდა, რომ 2021 წლის 28 ოქტომბერს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, კ.ს.-მ სანადირო თოფიდან რამდენჯერმე გასროლით თანასოფლელ მამაკაცს ჭრილობები მიაყენა, რომელიც მიღებული დაზიანებებით ადგილზე გარდაიცვალა. აღნიშნულის შემდეგ ბრალდებულმა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, მცირეწლოვანი შვილების თანდასწრებით მეუღლეს დანით ჭრილობები მიაყენა. დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად დაზარალებულის გადარჩენა მოხერხდა.





# მოსაწვევი

## სს „მცხეთა“-ს (ს/ნ: 236033136) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე

სს „მცხეთა“-ს (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი: 236033136, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №73) (შემდგომში „**საზოგადოება**“) აქციონერების საყურადღებოდ

ბატონებო და ქალბატონებო,

საზოგადოების დირექტორი გიწვევთ საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე (შემდგომში „**კრება**“).

კრება გაიმართება **2022 წლის 20 ივლისს, 15:00 საათზე** შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №73.

კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია **2022 წლის 24 ივნისი** და კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან.

კრების დღის წესრიგი:

1. წესდების ცვლილება, სადამფუძნებლო შეთანხმების დამტკიცება და სარეგისტრაციო მონაცემების "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.
2. საზოგადოების დირექტორის ცვლილება.
3. საზოგადოების კუთვნილი უძრავი ქონების გაყიდვა.

აქციონერი კრებაში მონაწილეობს უშუალო დასწრების ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აქციონერს კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით.

აქციონერის კრებაში მონაწილეობა ხდება პირადობის მოწმობისა (პასპორტის) და აქციათა რეესტრის საფუძველზე.

აქციონერის ხმის უფლება განისაზღვრება აქციათა რაოდენობის მიხედვით. კრებაში მონაწილეობის უფლება და თქვენს განკარგულებაში არსებული ხმების რაოდენობა სააღრიცხვო დღის მდგომარეობით შეგიძლიათ იხილოთ **მოწვევის დანართებში** და ასევე, შეამოწმოთ სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორთან“.

რეგისტრატორის საკონტაქტო ინფორმაციაა:

- ელ. ფოსტა: info@usr.ge
- ტელ. ნომერი: +995 577740109
- ვებ-გვერდი: http://usr.ge/

მოსაწვევის სრული ტექსტი და მისი დანართები გთხოვთ იხილოთ მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, სადაც ისინი გამოქვეყნებულია დადგენილი წესით. მოსაწვევის სრული ტექსტის ან/და დანართების მოძიებასთან დაკავშირებით დახმარების საჭიროების შემთხვევაში გთხოვთ დაუკავშირდეთ ჩვენს წარმომადგენელს შემდეგ ნომერზე: 599084348 ან მოგვწერეთ ელექტრონულ ფოსტაზე: i.lekishvili@outlook.com

პატივისცემით,
**ლევან ჯანაშია**
დირექტორი
24 ივნისი, 2022 წელი

# პაპი ქართული სიმღერითა და ღვინით მოიხიბლა



**წმინდა პეტრეს ტაძარში წირვის ჩატარებამდე, პაპი ფრანცისკე ვატიკანში მყოფ ქართველ მგალობელთა გუნდსა და სახელმწიფო დელეგაციას შეხვდა. ქართული გალობის მოსმენის შემდეგ პაპმა სანაქებო სიტყვები არ დაიშურა და განაცხადა, „ქართველებს ძალიან კარგი მუსიკა და კარგი ღვინო გაქვთ“.**

ქართული ღვინო პაპ ფრანცისკეს საქართველოში წმინდა საყდრის დესპანმა, არქიეპისკოპოსმა ჟოზე აველინო ბეტანკურმა გაუგზავნა.

* * *

**ვატიკანში, პეტრე-პავლობისადმი მიძღვნილი მესას შემდეგ, სამების საკათედრო ტაძრის გუნდის მიერ შესრულებული „შენ ხარ ვენახი“ აჟღერდა.**

იქამდე, წმინდა პეტრეს ტაძარში, გუნდთან ერთად, თამარ ალიბეგაშვილმა პატრიარქის „ავე მარია“ შეასრულა. მესას რომის პაპი ფრანცისკე უძღვებოდა.

* * *

**ალბათ, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ქართულმა კულტურამ მართლაც შეძლო, ნაწილობრივ გადაეფარა პოლიტიკა და გაეერთიანებინა საზოგადოება, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები ერთი იდეის გარშემო,** — ამის შესახებ გადაცემაში „იმედი LIVE“ კულტურის მინისტრმა, თეა წულუკიანმა განაცხადა.

**„ეს იდეა არის ქართველების და ქართული კულტურის წარმატება და ის ორი დიდი ისტორიული ღონისძიება, რომელიც ჩატარდა. ილია მეორის მიერ დაფუძნებულმა საკათედრო გუნდმა იგალობა სიქსტის კაპელაში და დღეს დილით, როდესაც პაპმა ფრანცისკემ აღავლინა პეტრე-პავლობის მესა, ჩვენს გუნდს „შენ ხარ ვენახისა“ და პატრიარქის მიერ შექმნილი „ავე მარიას“ გალობის შესაძლებლობა მიეცა. ეს არის ძალიან დიდი საჩუქარი, რომელსაც ღირსეულად დავხვდით. ის ძმობა, ვციტირებ რომის პაპს, რომელიც აერთიანებს მას და ჩვენს პატრიარქს, გამოიხატა ამ ჰარმონიასა და გალობაში“,** — აღნიშნა კულტურის მინისტრმა.

# ითანამშრომლებს ვატიკანის მუზეუმები საქართველოსთან?



**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დელეგაცია, თეა წულუკიანის მეთაურობით, ვატიკანის მუზეუმებს ეწვია და დირექტორს, ბარბარა იატას შეხვდა.**

მინისტრი დაინტერესდა ვატიკანის მუზეუმში სტაჟირების პროგრამით, მუზეუმოგრაფიის, ლაბორატორიების მუშაობის, საკურატორო საქმიანობის საკითხებით. აგრეთვე, საუბარი შეეხო საქართველოდან სტუდენტების, კურატორების, რესტავრატორ-კონსერვატორების ვატიკანის მუზეუმებში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით წარგზავნის შესაძლებლობას. ბარბარამ სტაჟირების სხვადასხვა პროგრამის შესახებ ისაუბრა და ამ მიმართულებით მომავალი თანამშრომლობის დაპირება აღუთქვა მინისტრს. სამინისტროს დელეგაციამ აგრეთვე მოინახულა ეთნოგრაფიული, ფერწერისა და ძვირფასი ლითონის კონსერვაცია-რესტავრაციის ლაბორატორიები, გაეცნო ლაბორატორიების მუშაობის სპეციფიკას, თანამედროვე ტექნოლოგიებს, სამუშაო გარემოსა და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

# აფხაზურენოვანი „ვეფხისტყაოსანი“ საჩუქრად ჰოლანდიის ეპისკოპოსს

**ბრიუსელში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი ნანა გაბელია, პირველ მოადგილე გიორგი გაბედავასთან ერთად, ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოს დოსითეოსს შეხვდა.**

ნანა გაბელიამ, ეპისკოპოსს ბელგიაში მოქმედი ქართული საკვირაო სკოლებისთვის, აფხაზურენოვანი და აფხაზეთის თემატიკასთან დაკავშირებული წიგნები გადასცა.

**„მადლობა მინდა გადავუხადო ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოს დოსითეოსს მიღებისთვის. ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიაში მოღვაწე სასულიერო პირების შრომა და ღვაწლი, ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებისა და საკვირაო სკოლების აღსაზრდელთათვის უმნიშვნელოვანესია, რისთვისაც განსაკუთრებული მადლობა ამ ადამიანებს. ვფიქრობ, აფხაზურენოვანი და აფხაზეთთან დაკავშირებული გამოცემები საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისთვის, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კიდევ ერთი საუკეთესო შეხსენება იქნება“,** — განაცხადა ნანა გაბელიამ.



# „საქართველო — ღვინის სამშობლო“

**ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და კომპანიის „Georgisk vin“ ინიციატივით, დანიის ქალაქ ორჰუსში სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმის „საქართველო ღვინის სამშობლო“ ჩვენება გაიმართა.**

ფილმი „საქართველო ღვინის სამშობლო“ იმ საერთაშორისო სამეცნიერო კვლევას ეძღვნება, რომლითაც მეცნიერულად დასაბუთდა, რომ სწორედ საქართველოა ღვინის სამშობლო და 8000 წლის წინ სწორედ ჩვენს ტერიტორიაზე დაიწყო ველური ვაზის მოშინაურება და ღვინის წარმოება, რაც უწყვეტად გრძელდება. ორმოცწუთიანი ფილმი გადაღებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სააგენტოს „საქპატენტის“ მხარდაჭერით. ფილმის დასრულების შემდეგ მოეწყო ქართული ღვინის დეგუსტაცია, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მრჩეველი გიორგი თევზაძე უძღვებოდა.




**კომპანიის „Georgisk vin“ დამფუძნებლის, სოფო საღარაძის ორგანიზებით, ორჰუსში, ღვინის კლუბში „Capo Aarhus“ გაიმართა წარდგინება საქართველოს, ქართული სამზარეულოს, ღვინის ისტორიისა და მეღვინეობის თანამედროვე ინდუსტრიის შესახებ, რომელსაც ასევე გიორგი თევზაძე უძღვებოდა. ღონისძიებას დაესწრნენ დანიის სომელიეთა სასწავლებლის, ღვინის აკადემიის, სასტუმროებისა და რესტორნების სკოლის, ასევე, ღვინის ბარებისა და რესტორნების წარმომადგენლები, რომლებიც თანამშრომლობენ მიშელინის ვარსკვლავის მქონე ადგილობრივ რესტორნებთან. ქართული ღვინის ბაზრების დივერსიფიკაციისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო დანიაში მარკეტინგულ ღონისძიებებს გეგმავს.**

# იყიდება როდენის „მოაზროვნე“

**ოგიუსტ როდენის ცნობილი ქანდაკების „მოაზროვნეს“ ასლი პარიზში, Christie's აუქციონზე გაიყიდება.**

ბრინჯაოს ქანდაკების ზომა 70 სანტიმეტრია, როდენმა ის დაახლოებით 1928 წელს შექმნა. აუქციონის ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ ქანდაკება $14,8 მილიონად გაიყიდება.

როდენმა „მოაზროვნეს“ სხვადასხვა ზომის 40-მდე ასლი შექმნა. კერძო კოლექციებში დღეისათვის მხოლოდ 10 მათგანი რჩება. ქანდაკების ორიგინალი პარიზში, როდენის მუზეუმში დგას.

# ამერიკელი რეკორდებით გვაკვირვებს

**ამერიკელმა დეივ რაშმა, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში რეგულარულად ხვდება, მორიგი რეკორდი დაამყარა, ამჯერად კაცმა 5,47 კილომეტრი ნიკაპზე გიტარით გაიარა. ამ დისტანციის დასაფარად მან სტადიონის სარბენ ბილიკს 13 წრე დაარტყა, რისთვისაც 1 საათი და 7 წუთი დასჭირდა. ეს რაშის 250-ე რეკორდია.**

ივნისში რაშმა კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა — ბენზოხერხი შუბლზე 31 წუთისა და 25 წამის განმავლობაში გაიჩერა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 4 ივლისს**

სრ

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.9289; ევრო - 3.0821
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5662;
100 რუბლი - 5.6511; თურქული ლირა - 0.1689;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7280;
1000 სომხური დრამი - 7.1940.

**ამინდი 1 ივლისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +12, | დღე +27 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +16, | დღე +26 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე +24 |
| თბილისი: | ღამე | +20, | დღე +31 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge